გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 10 მაისი, 2005 წელი.
№110 (5143)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პრეზიდენტო ბუშ!

# WELCOME, PRESIDENT BUSH!



## გმადლობთ, რომ საქართველო არასოდეს მიგიტოვებიათ განსაცდელში

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,

უწინარესად, უღრმეს მადლობას გწირავთ, რომ წყვეტილობით, მაგრამ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს დასდეთ უდიდესი პატივი თქვენი ვიზიტით. ამ ისტორიულ ჟესტს ჩვენ აღვიქვამთ თქვენი დიადი სახელმწიფოსა და მისი ლიდერის მიერ კავკასიის გულის – საქართველოს – მნიშვნელობის, ფუნქციისა და მისიის გაცნობიერებად, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველო დაეხსნება მეზობელი იმპერიის მიერ თავსმოხვეულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, მორალურ პარადოქსებს და დასავლეთის, თქვენი შემწეობით დამკვიდრებულ მსოფლიოს ახალ ღირებულებათა სისტემაში ღირსეულ, განუმეორებელ, თვითმყოფად და უნიკალურ ადგილს მოიპოვებს.

ჩვენი ქვეყანა დაიქანცა. მას ედავებიან იმას, რაც უდავო და აპრიორია. ჩვენი ქვეყნის აწ უკვე დაფლეთილ ტერიტორიაზე, ქართველთა და აფხაზთა როგორც ავტოქტონთა, ასევე მისი ყველა მოქალაქის უფლებები ირღვეოდა და ირღვევა რუსეთის სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციის იმპერიის რეციდივების უზნეო ზეგავლენით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა იმპერიებისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული ფორმულით ფსევდოავტონომიური წარმონაქმნები მოახვია თავს ჩვენს ქვეყანას. დემოკრატიული ღირებულებების ერთგული დღევანდელი საქართველო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეთნოსს სთავაზობს თვითმყოფადობისა და კულტურის განვითარების ყველაზე ფართო არჩევანს, ხოლო აფხაზებსა და ოსებს დღევანდელი ხელისუფლების მიერ ექმნებათ საშური პირობები, გააკეთონ სამართლიანი არჩევანი ფსევდო და ჭეშმარიტ ავტონომიებს შორის.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენ იმაშიც დაგვეთახმებით, რომ სამარცხვინოა, ტრაგიკულზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოს ჰყავდეს ასეულ ათასობით შიდა მიგრანტი, დევნილი და ლტოლვილი. თქვენი სახელმწიფოს უპირატესი დამსახურებაა, რომ მათი უდიდესი ნაწილი ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ მათთვის სიცოცხლეზე ზეაღმატებული ღირებულებისაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომლის რეალიზება უთქვენოდ, უბრალოდ, უპერსპექტივოდ გვეჩვენება.

ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ გწირავთ მადლობას, რომ საქართველო არასდროს მიგიტოვებიათ განსაცდელში. ამიტომ ღრმად გვწამს, რომ მოურეველი განსაცდელი, თქვენი შემწეობით, დღენიადაგ შეგვიმცირდება.

9 მაისი, 2005 წ.

## Thank You for Never Leaving Georgia in Trouble

YOUR EXCELLENCY, MR. PRESIDENT

We would first and foremost like to thank you for your visit that is honorable to Georgia whose statehood is three thousand years old. This historic step makes it clear that your great country and you, its leader, understand the significance, function, and mission of Georgia that is in the heart of the Caucasus. This provides grounds for hope that Georgia will be able to escape the geographic, political, and moral paradoxes imposed by the neighboring empire and will occupy a deserved, unique, and distinctive place in the system of new values established in the world thanks to your country's efforts.

Our country is tired. There is much controversy over what cannot be contested. The rights of the Georgians and Abkhazians, indigenous peoples on our country's territory that has been torn to pieces, as well as the rights of all its citizens are being and have always been violated under the influence of the Russian Empire of different modifications.

It is common knowledge that Bolshevik Russia, just like other empires, used a primitive formula to impose pseudo-autonomies on our country. Today's Georgia that is faithful to democratic values offers all ethnic groups residing on its territory a wide choice for the development of their unique identities and cultures. As regards the Abkhazians and Ossetians, the current authorities are creating for them enviable conditions for making a fair choice between the pseudo and true autonomies.

Mr President,

You will perhaps agree if we say that it is shameful, if not tragic, that our country now has hundreds of thousands of internal migrants, displaced persons, and refugees. It is your country that is to be credited for the fact that most of them have survived. However, the restoration of this country's territorial integrity is more precious for them than their lives and we believe that this aim is unachievable without your assistance.

Once more, we would like to express our gratitude for never leaving Georgia in trouble. This is why we hope that this country will have to face fewer insurmountable problems in the future.

The 9th of May 2005.



## თბილისი გულითადად შეეგება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს





**2005 წლის 9 მაისი მართლაც ღირსსახსოვარ თარიღად შევა თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს თბილისს ეწვია მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მეუღლითურთ. საპატიო სტუმართან ერთად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი.**

19 საათსა და 20 წუთზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაფრინდა პირველი თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებოდნენ ამერიკის დელეგაციის წევრები, თეთრი სახლის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ასევე სპეცტექნიკა, კერძოდ, ავტომანქანები, რომლებითაც თბილისში ყოფნისას გადაადგილდება ამერიკის პრეზიდენტი. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ კი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა ჯორჯ ბუშის თვითმფრინავი.

თვითმფრინავის კიბესთან ჯორჯ და ლორა ბუშებს გულთბილად შეეგებნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი მეუღლითურთ.



თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან პრეზიდენტების კორტეჟმა გეზი დედაქალაქის ცენტრისკენ აიღო. სტუმარ-მასპინძლები შეჩერდნენ თბილისის ისტორიულ უბანში – აბანოთუბანში, აქ, მეიდანზე, გამართული იყო რამდენიმე სცენა.

ქართული „მრავალჟამიერით“ შეეგებნენ საპატიო სტუმრებს ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები. კონცერტში მონაწილეობდა 440 შემსრულებელი, სოლისტები ნატო მეტონიძე, ლელა წურწუმია, ლიზა ბაგრატიონი, სუხიშვილების სახელგანთქმული კოლექტივი, ბავშვთა ანსამბლი „ფესვები“, სხვა მხატვრული კოლექტივები.

ჯორჯ და ლორა ბუშები მოიხიბლნენ ქართული ხელოვნებით. ამერიკის პრეზიდენტი ერთი სცენიდან მეორეზე გადადიოდა, რა თქმა უნდა, ეს პროტოკოლით არ იყო გათვალისწინებული, სურათებს იღებდა ქართველ შემსრულებლებთან, ესალმებოდა თითოეულ მათგანს.

კონცერტმა, მართალია ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც სრულყოფილად წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართული ვოკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნება. და, ბოლოს, თბილისის ცა სტუმრების პატივსაცემად გაანათა საზეიმო ფოიერვერკმა.

საკუთარი ინფორმაცია.

მისალმება

## ეს სტუმრობა იმედითა და მადლიერებით აღგვავსებს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით**

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მივესალმებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩამობრძანებას საქართველოში. ეს დიდი მნიშვნელობის ისტორიული ვიზიტია, რაც ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული.**

იგი ჩამობრძანდა უძველესი კულტურის ქვეყანაში, რომლის სახელმწიფოებრიობა 3000 წელზე მეტს ითვლის. ქვეყანაში, რომელმაც ქრისტიანობა I საუკუნეში მოციქულთაგან მიიღო, ხოლო IV საუკუნეში ეს სარწმუნოება სახელმწიფოებრივ რელიგიად იქნა აღიარებული, რამაც განსაზღვრა ჩვენი ერის განვითარების ძირითადი ასპექტები, მისი პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამყარო არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი და იზოლირებული. მას მუდმივად უხდებოდა დიდი კულტურებისა და ცივილიზაციების გვერდით ცხოვრება და მათგან მრავალი რამის შეთვისება, მაგრამ იგი ამავე დროს ყოველთვის ახერხებდა თვითმყოფადი სახის შენარჩუნებას, რადგანაც თვითონაც დიდი კულტურის მატარებელი იყო და არის.

ტოლერანტობა ჩვენი ხალხის ბუნებაშია. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ კი ეს თვისება კიდევ უფრო გააძლიერა. სწორედ ამით აიხსნება ის უნიკალური მოვლენა, რომ თუმცა, აქ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები დიდი ხანია ცხოვრობენ, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არასოდეს ყოფილა მათი დევნა. გრძნობდნენ რა, კეთილგანწყობას, ისინიც ყოველთვის პატივს სცემდნენ და უფრთხილდებოდნენ ამ დამოკიდებულებას და ჩვენ ყველანი ერთად ვემსახურებოდით ჩვენს სახელმწიფოს.

ეს დღესაც ასეა. დღესაც გრძელდება კონფესიათშორისი მშვიდობიანი თანაარსებობა.

იხ. მე-2 გვ.

9 მაისი

## მიხეილ სააკაშვილი: არ არის სხვა ერი, რომელსაც ამდენი დამსახურება ჰქონდეს ამ ომში

**9 მაისს, გამარჯვების დღის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ვაკის პარკში დაიწყო. აქ მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მათ გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და პატივი მიაგეს იმ გმირების ხსოვნას, „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“.**

**საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა ვაკის პარკში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, გულითადად მიულოცა მათ გამარჯვების დღე და განაცხადა:**

– საქართველომ პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი დაკარგა ევროპის ბოლო დიდ ომში. მსოფლიომ ცოტა რამე თუ იცის იმის შესახებ, რომ ამ პატარა ქვეყანამ დაკარგა 300 ათასზე მეტი ადამიანი და რამდენიმე ასეული ათასი დასახიჩრებული, დაინვალიდებული დაბრუნდა ომიდან. საქართველოს ჰყავდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაოდენობა საბჭოთა კავშირის გმირებისა. ბოლო ბრძოლა ევროპაში, ამ ომის ბოლო ბრძოლა ჰოლანდიაში გაიმართა და იქ, კუნძულ ტექსელზე, ქართველებმა იბრძოლეს. ქართველმა აღმართა დროშა რაიხსტაგზე.

არ არის სხვა ერი, რომელსაც ამდენი წვლილი გაეღოს და ცოტა არის სხვა ერი, რომელსაც ამდენი დამსახურება ჰქონდეს ამ ომში.

ჩვენთვის თქვენ – დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები მისაბაძი, დასაფასებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები ხართ. მინდა მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ აქ მოხვედით. მადლობა მინდა გითხრათ სახელმწიფოს სახელით იმისათვის, რომ ღირსეულად ზიდეთ თქვენი ჭაპანი, გაზარდეთ ოჯახები, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.



იხ. მე-4 გვ.

# თბილისი გულითადად შეეგება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს









(პირველი გვერდიდან)

## გულთბილი სტუმარ-მასპინძლობის ზეიმი

**საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი მეუღლე ლორა ბუში აბანოთუბანში მათ პატივსაცემად გამართულ კონცერტს გეგმით გათვალისწინებული 8 წუთის ნაცვლად, 40 წუთის განმავლობაში ესწრებოდნენ.**

მაღალი სტუმრების პატივსაცემად აბანოთუბანში მოწყობილ ორ სცენაზე ერთმანეთს ქართული ცეკვა და სიმღერა ენაცვლებოდა. აბანოთუბნის, ქართული ცეკვისა და სიმღერის სილამაზით მოხიბლული ამერიკის პრეზიდენტი ემოციებს არ ფარავდა, აპლოდისმენტებს არ იშურებდა და მოცეკვავეებისთვის ხელის ჩამოსართმევად სცენაზე რამდენჯერმე ავიდა. მან საქართველოს პრეზიდენტთან და სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის წევრებთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო.

კონცერტი ფეიერვერკით დასრულდა. სტუმრებმა რესტორან „გორგასალში" გადაინაცვლეს, სადაც მათთვის საგანგებო ვახშამი იყო გამზადებული.

* * *

**რესტორნიდან გამოსულ პრეზიდენტებს კვლავ სიმღერითა და ცეკვით დახვდნენ და საპატიო სტუმარი ძველი თბილისიდან გრანდიოზული ფეიერვერკის, ქართული სიმღერისა და ცეკვის თანხლებით გააცილეს.**

აშშ-ის და საქართველოს პრეზიდენტები კმაყოფილები ჩანდნენ. ჯორჯ ბუში ემოციებს კვლავაც არ მალავდა და სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეებს აჰყვა კიდეც.

## „გარდიანი": ბუში ენთუზიაზმით იყო აღსავსე

**„ღარიბმა, მაგრამ იმედებით აღსავსე ქვეყანამ არაჩვეულებრივი დახვედრა მოუწყო აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. მოცეკვავეებმა, მომღერლებმა და ასეულობით რიგითმა მოქალაქემ აავსეს თბილისის ქუჩები აშშ-ის პრეზიდენტის დასახვედრად", — წერს გაზეთი „გარდიანი" სააგენტო „ასოშიეიტედ პრესზე" დაყრდნობით.**

„ცოცხალ, ზოგჯერ ქაოტურ სცენებში ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები ასრულებდნენ სხვადასხვა ცეკვებს, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს აშშ-ის პრეზიდენტზე. ჯორჯ ბუში იღიმებოდა, ცდილობდა, აჰყოლოდა მოცეკვავეებს და ტაშს უკრავდა. ბუში ენთუზიაზმით იყო აღსავსე, რადგან თბილისური დახვედრა ბევრად განსხვავდებოდა იმ საპროტესტო აქციებისგან, რომლებითაც მას სხვადასხვა ქვეყნებში მიეგებნენ", — წერს გაზეთი.

მისივე ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი და მისი მეუღლე ბუშებს აეროპორტში მრავალფერი ვარდების თაიგულით მიეგებნენ, რომელიც მნახველს 2003 წლის „ვარდების რევოლუციას" ახსენებდა.

„ბუშმა თეთრი სახლის მიერ გამოყოფილ 20 წუთზე გაცილებით მეტი დრო დაჰყო თბილისის ძველ უბანში, სანამ სანახაობა ფეიერვერკით არ დასრულდა, რომლის შუქზეც ძველი ეკლესია არ გამოჩნდა მთაზე", — წერს გაზეთი.









◉ მისალმება

# ეს სტუმრობა იმედითა და მადლიერებით აღგვავსებს

(პირველი გვერდიდან)

ამის დადასტურებაა ის ურთიერთობები, რაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციასთან, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც არის 2002 წელს მიღებული ერთობლივი დეკლარაციები.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და ფასეულია, რომ მსოფლიო დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ბატონი ჯორჯ ბუში დიდ ყურადღებას უთმობს ზნეობრივი ღირებულებებისა და ოჯახის ინსტიტუტის დაცვას, აბორტისა და ნარკომანიის პრობლემებს... რაც ნებისმიერი წარმატებული სახელმწიფოს სიძლიერის საწინდარია.

წარმატებული სახელმწიფოს შექმნის უმთავრესი წინაპირობაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების ჩამოყალიბება. სწორედ ამ პრინციპის დაცვით შექმნა უძლიერესი სახელმწიფო ამერიკელმა ხალხმა და ჩვენც მათგან უპირველესად ეს უნდა გავითვალისწინოთ.

იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს ერთიანი, ძლიერი, წარმატებული ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას, რომელიც თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად შექმნის წარმატებულ ნაციონალურ ეკონომიკას, განავითარებს ქართულ კულტურას და დაიმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში.



სხვადასხვა პრობლემის გამო, რთულ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის მსოფლიოს ასეთი ძლიერი სახელმწიფოს პირველი პირის სტუმრობა დიდი იმედის მომცემია და მადლიერებით აღგვავსებს.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყნები და ხელისუფალნი და მოგვცეს მშვიდობა და კეთილდღეობა.

**9 მაისი, 2005 წელი.**

◉ პოზიცია

# საქართველოსთვის უპრეცედენტო მხარდაჭერა

### სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტის გამო

**საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ჩამობრძანებას.**

2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში განხორციელებულმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა, სამოქალაქო სულისკვეთებამ და გმირობამ, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ გამოავლინა სიმართლის, თავისუფლებისა და დემოკრატიის მხარდასაჭერად, აღაფრთოვანა მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოება. გვჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების რეფორმატორული პოლიტიკა სწორედ მსოფლიო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პრეზიდენტის თანადგომით მოიპოვებს წარმატებას.

2003 წლის 16 სექტემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმსარებლობის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით, ბატონმა ჯორჯ ბუშმა ბრძანა: „გვახარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული რელიგიური თავისუფლება, თუმცა, არ ვივიწყებთ იმასაც, რომ მსოფლიოში მრავალი ადამიანი მოკლებულია ამ თავისუფლებას. გწამდეს და შეგეძლოს ამ რწმენის სიტყვითა და საქმით გამოხატვა — არის უფლება, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა ადამიანი".

საქართველოში რელიგიური ძალადობის აღსაკვეთად და თავისუფლების პრინციპების დასამკვიდრებლად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. რელიგიის თავისუფლება ის ძირითადი პოსტულატია, რომლის გარეშე არ არსებობს თანამედროვე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო. მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა: საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრების გზაზე: აღკვეთილია რელიგიურ ნიადაგზე უხეში ფიზიკური ძალადობის შემთხვევები; რელიგიურ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს მიეცათ რეგისტრაციის საშუალება, რაც აქამდე შეუძლებელი იყო; მიღებულია განათლების ახალი კანონი, რომლის თანახმად სახელმწიფო სკოლებში იკრძალება რელიგიური პროპაგანდა. თუმცა, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი საქართველოში რელიგიური თავისუფლებლების მიღწევამდე; მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა და ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან რელიგიური შემწყნარებლობის მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

ვიმედოვნებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩამობრძანების შემდეგ მრავალეროვნულ და მრავალკონფესიურ საქართველოში უფრო დიდი ყურადღება დაეთმობა ტოლერანტობისა და პლურალიზმის პრინციპებს, უფრო თვალსაჩინო გახდება რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის, სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის აუცილებლობა. გვჯერა, რომ ამ მიმართებით საქართველოს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტული ამოცანა გახდება.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირველი ვიზიტი მართლაც უპრეცედენტო მხარდაჭერაა საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

**სოზარ სუბარი, სახალხო დამცველი; აჭარის მუფთი ბექირ ბოლქვაძე, მუსლიმანთა სასულიერო სამუფთოს სამმართველო; ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი, სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მეთაური; რაბი არიელ ლევინი, საქართველოს ებრაული თემის მთავარი რაბინი; რაბი აბრამ მიხელაშვილი, ხაბად ლუბავიჩის მთავარი რაბინი საქართველოში; ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, კათოლიკური ეკლესია; ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია; ეპისკოპოსი ანდრეას შტოეკლი, ევანგელურ-ლუთერული ეკლესია; ზაალ ტყეშელაშვილი, ევანგელისტური ეკლესია; ოლეგ ხუბაშვილი, ორმოცდაათიანელური ეკლესია; ნიკოლოზ კალუცკი, ორმოცდაათიანელების ეკლესია; ემზარ ჭრიკიშვილი, გრიგოლ წამალაშვილი, მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია; გიორგი სალარიშვილი, „ხსნის არმია"; მამუკა ჯებისაშვილი, ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა"; ვიქტორ ხაცევიჩი, უკანასკნელ დღეთა წმინდანების იესო ქრისტეს ეკლესია; ბადრი ერაძე, ქუთაისის ევანგელური ეკლესია; შმაგი ჭანკვეტაძე, ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა" (ქ. გორი); ანთიმოზ ნაცვლიშვილი, კრიშნას ცნობიერების ტაძარი; ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე, ქრისტიანთა კავშირი; მღვდელი ზაზა თევზაძე, თბილისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური; ლევან აბაშიძე, ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი; ლადო გოგიაშვილი, რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრი; ლელა ქართველიშვილი, საქართველოს რწმენის თავისუფლების ცენტრი; ევგენი მიქელაძე, ასოციაცია „რწმენა და თავისუფლება"; ბექა მინდიაშვილი, სახალხო დამცველის აპარატი.**

**9 მაისი, 2005 წელი**

◉ სხვათა პრესიდან

# წარუმატებელი სამიტის შემდეგ პუტინი პარტნიორებს ერთობისკენ მოუწოდებს

**ევროპაში გამარჯვებისადმი მიძღვნილ სამდღიან ზეიმს 8 მაისს ჩრდილი მიაყენა კონფლიქტმა, როცა ცალკეულმა ძირითადმა ლიდერებმა ან ბოიკოტი გამოუცხადეს ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების სამიტს, ან საკმაოდ დამამცირებელი განცხადებებით გამოეხმაურნენ ამ ღონისძიებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული თავისუფალი პოლიტიკური კავშირის — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტი დასრულდა იმით, რომ პუტინმა 12 სახელმწიფოს მუშაობისა და თანამშრომლობისთვის მოუწოდა. ეს მოწოდება გაისმა მაშინ, როცა დემოკრატიული რეფორმებისა და პროტესტების ტალღა წალეკვით ემუქრება რუსეთის ყოფილ მოკავშირეებს რეგიონში.**

„ჩვენთვის აშკარაა, რომ ნაციზმი, ექსტრემიზმი და ტერორიზმი ის საფრთხეა, რომელსაც ერთი იდეოლოგიური ფესვები ასაზრდოებს. საფრთხე საშინელია და ჩვენ, უბრალოდ, ვალდებული ვართ მისგან დავიცვათ ჩვენი უნიკალური ცივილიზაციების მშვიდობიანი თანამეგობრობა, — აღნიშნა პუტინმა სატელევიზიო მიმართვაში, — დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას შეუძლია იყოს ეფექტიანი ამ საქმეში".

კრემლის ბოლო გამოსვლას იმის თაობაზე, რომ ექსტრემიზმის საფრთხეს უნდა დაუპირისპირდეს შინაურ თუ გარეშე მოკავშირეებთან უფრო მტკიცე ერთობა, თანხმობის შეძახილებით შეხვდნენ. მაგრამ სამიტმა წარმოაჩინა ორგანიზაციის წევრებს შორის სერიოზული კონფლიქტების ზონები. ეს განსაკუთრებით ეხება იმ სამ სახელმწიფოს, რომლებშიც ამ ბოლო წლინახევრის განმავლობაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად მოხდა მმართველი რეჟიმების შეცვლა.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ თქვა, რომ თანამეგობრობას „არ მოაქვს დიდი სარგებელი" და დამსწრეთ შესთავაზა მისი შეცვლა არაპოლიტიკური ეკვივალენტით. „უნდა ვიმუშაოთ ისეთი სტრუქტურების და ინსტიტუტების მქონე თანამეგობრობის შექმნისთვის, რომლებიც ვერ გვიკარნახებდნენ ჩვენ პოლიტიკას, სამაგიეროდ, გადაჭრიდნენ ეკონომიკის, ვაჭრობის პრობლემებს და მრავალ სხვა საკითხს", — განაცხადა მან „ასოშიეიტედ პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

საქართველოს ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრიქვეყნის პირველმა ლიდერმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მივიდა რუსეთის ტრადიციული გავლენისგან რევოლუციური გათავისუფლების შედეგად, მთლიანად გამოუცხადა ბოიკოტი როგორც სამიტს, ისე გამარჯვების დღის აღსანიშნავად დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებს.

გაუთავებელი კამათი საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ორი სამხედრო ბაზის გატანის შესახებ, შეუძლებელს ხდის ჩემს ვიზიტს მოსკოვში, განუცხადა სააკაშვილმა „გარდიანს". „მე ვერ გავემგზავრებოდი მოსკოვში, რადგან ვიცი, რომ რუსეთი მოქმედებს ჩემი ხალხის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ — ამ ქვეყნის ჯარისკაცებს ოკუპირებული აქვთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია", — თქვა სააკაშვილმა.

ამ ბაზების გატანა უკვე კარგა ხანია დაგეგმილია, მაგრამ მოსკოვი გამუდმებით ცდილობს ვადების გაჭიანურებას. სააკაშვილმა აღნიშნა: „სირიამ შეძლო, რომ ლიბანიდან 14-ათასიანი ჯარები 25 დღის განმავლობაში გამოეყვანა. მე კი უკვე სამ წელიწადზე მეტია ვთხოვ რუსეთს, რომ საქართველოდან გაიყვანოს 3 ათასი ჯარისკაცი. ნუთუ ეს ასე რთულია?"

ყურმანბეკ ბაკიევმა, ყირგიზეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ასევე განაცხადა, რომ მხარს უჭერს დემოკრატიას. „მე ვფიქრობ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას არჩევანი არ აქვს — მთელი მსოფლიო ვითარდება დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე და თანამეგობრობაც ამ მიმართულებით უნდა მიიწევდეს წინ", — აღნიშნა მან.

აზერბაიჯანის პროამერიკულად განწყობილმა ლიდერმა ილჰამ ალიევმა ამ ღონისძიებებს ბოიკოტი გამოუცხადა იმის გამო, რომ სამიტს ესწრებოდა სომხეთის პრეზიდენტი. ეს ორი მეზობელი ქვეყანა დღესაც კონფლიქტის პირობებში იმყოფება სადავო სასაზღვრო ტერიტორიების საკითხის გამო.

მოსკოვში ზეიმს თან ახლავს უშიშროების უპრეცედენტო ზომები. ქალაქის ცენტრში მდებარე შენობების მცხოვრებლებს გამოუცხადეს, რომ არ გასულიყვნენ აივნებზე, რათა არ გამხდარიყვნენ სნაიპერების სამიზნე.

**ნიკ პეიტონ უოლში,**
**ტომ პარფიტი.**
**„გარდიანი" (დიდი ბრიტანეთი), 9 მაისი.**

◉ შევამჩნიეთ, ვასწორებთ

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის 9 მაისის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მასალის — „ჯორჯ ბუში საქართველოში უპრეცედენტო სიტყვას წარმოთქვამს" — მეოთხე აბზაცის პირველი წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „თბილისს ჯორჯ ბუში მეუღლესთან ლორა ბუშთან და აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან ერთად ეწვევა".

ატრიბუტიკა

# აშშ სახელმწიფო სიმბოლიკა



## ჰიმნი

**დღეს აშშ პრეზიდენტის ბუშის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის გამო აშშ ჰიმნი შესრულდება. რა ვიცით, ამ ჰიმნის შესახებ? რა ვიცით აშშ გერბის შესახებ?**

**აშშ ჰიმნის წარმოშობის ისტორია სათავეს ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების წლებიდან იღებს. იმ ხანებში ამერიკაში არაერთი პატრიოტული სიმღერა და მარში დაიბადა. მათ შორის, იმ დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი „იანკი დუდლი“, „ჩესტერი“, „ბანკერჰილი“ ანუ ამერიკელი გმირი და სხვა. მაგრამ მათი დიდი პოპულარობის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არ დადგინდა აშშ ჰიმნად.**

აშშ ჰიმნის დაბადება 1812-1814 წლების ამერიკა-ინგლისის ომის პერიოდს მიეკუთვნება. 1814 წელს ბრიტანელებმა ვაშინგტონი გადაწვეს და ქ. ბალტიმორისაკენ დაიძრნენ. შეტევის დროს მათ ტყვედ ჩაიგდეს ცნობილი ამერიკელი ექიმი უ. ბინსი. ბალტიმორელ იურისტს ფრენსის სკოტ კის ექიმ უ. ბინსიის განთავისუფლება დაევალა. სექტემბრის დასაწყისში ფრენსის სკოტი კი სამხედრო ტყვეთა გაცვლის აშშ სამთავრობო აგენტის პოლკოვნიკ ჯ. სკინერთან ერთად ბრიტანეთის ადმირალს ჯ. კოკბერნს ეახლა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მაგრამ ფორტ მაკ-ჰენრის დაბომბვის გამო ინგლისელებმა პარლამენტარები შეაჩერეს. ფორტის გააფთრებული დაბომბვა ერთი დღე-ღამე გრძელდებოდა. 14 სექტემბრის გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ გაუფანტავი დენთის კვამლში, აშშ ეროვნული დროშის ხილვით გახარებულმა ფრენსის კიმ თავისი აღფრთოვანება ერთი ამოსუნთქვით დაწერილ სტროფებში ასახა. ლექსი ძველ კონვერტზე დაიწერა. მეორე დღეს იგი გაზეთ „ბალტიმორ ამერიკენში“ დაიბეჭდა სათაურით „ფორტ მაკ-ჰენრის ალყა“ მალე ფრენსის კის ლექსი სიმღერად იქცა. მას ასრულებდნენ იმდროინდელ ამერიკაში პოპულარული სიმღერის „ანაკრეონი ზეცაში“ მოტივზე, რომელიც ამერიკაში ინგლისიდან იყო შემოტანილი. ეს სიმღერა ლონდონის ანაკრეონის საზოგადოების სუფრულს წარმოადგენდა. ეს სიმღერა პირველად ცნობილი გახდა 1793 წელს, როდესაც ნიუიორკის ერთ-ერთმა გაზეთმა ამ მელოდიის მოტივზე პატრიოტული პაროდია გამოაქვეყნა. მელოდიამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. მას ხშირად უკრავდნენ დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, ჯ. ვაშინგტონის დაბადების დღეს.

ამერიკელებისთვის პოპულარული მელოდიისა და ფრენსის კის პატრიოტული ლექსის „ფორტ მაკ-ჰენრის ალყის“ ერთმანეთში შერწყმა უპასუხებდა ამერიკის პატრიოტულ განწყობას, რაც მალე მთელი ქვეყნისათვის გახდა ცნობილი.

იგი იბეჭდებოდა პერიოდულ ბეჭდვით ორგანოებში, ცალკე გამოიცემოდა ნოტების თანდართვით. ცხოვრებაში ეს ნაწარმოები ჩამოყალიბდა სახელწოდებით „ვარსკვლავებით მოფენილი დროშა“ (The Star Spangled Banner) და მთელი ამერიკის განსაკუთრებულად პოპულარულ პატრიოტულ სიმღერად იქცა.

„ვარსკვლავებით მოფენილი დროშა“ დიდხანს არ მტკიცდებოდა აშშ ოფიციალურ ჰიმნად. თუმცა ფაქტობრივად იგი ქვეყნის არაოფიციალურ ჰიმნს წარმოადგენდა. 1890 წ. აშშ-ს არმიის და ფლოტის წესდებათა პროექტები დაიწერა. ეს პროექტები სხვადასხვა ცერემონიალზე „ვარსკვლავებით მოფენილი დროშის“ სავალდებულო შესრულებას მოითხოვდა. პირველი მსოფლიო ომის დროს აშშ პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა სანქცია მისცა აშშ არმიის და ფლოტის წესდებებს და პრაქტიკულად დაამტკიცა ამ ნაწარმოების სავალდებულო შესრულება სამხედრო ცერემონიალებზე.

1931 წლის 3 მარტს აშშ პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა ხელი მოაწერა ნორმატიულ აქტს, რომლითაც ნაწარმოები „ვარსკვლავებით მოფენილი დროშა“ აშშ-ს ოფიციალურ ჰიმნად გამოცხადდა.

### აშშ სახელმწიფო ჰიმნი

Oh, say can you see by the dawn's early light
What so proudly we hailed at the twilight's last gleaming?
Whose broad stripes and bright stars thru the perilous fight,
O'er the ramparts we watched were so gallantly streaming?
And the rocket's red glare, the bombs bursting in air,
Gave proof thru the night that our flag was still there.
Oh, say does that star-spangled banner yet wave
O'er the land of the free and the home of the brave?
On the shore, dimly seen through the mists of the deep,
Where the foe's haughty host in dread silence reposes,
What is that which the breeze, o'er the towering steep,
As it fitfully blows, half conceals, half discloses?
Now it catches the gleam of the morning's first beam,
In full glory reflected now shines in the stream:
'Tis the star-spangled banner! Oh long may it wave
O'er the land of the free and the home of the brave.
And where is that band who so vauntingly swore
That the havoc of war and the battle's confusion,
A home and a country should leave us no more!
Their blood has washed out of their foul footsteps' pollution.
No refuge could save the hireling and slave'
From the terror of flight and the gloom of the grave:
And the star-spangled banner in triumph doth wave
O'er the land of the free and the home of the brave.
Oh! thus be it ever, when freemen shall stand
Between their loved home and the war's desolation!
Blest with victory and peace, may the heav'n rescued land
Praise the Power that hath made and preserved us a nation.
Then conquer we must, when our cause it is just,
And this be our motto: "In God is our trust."
And the star-spangled banner in triumph shall wave
O'er the land of the free and the home of the brave.

## სახელმწიფო გერბი

**1776 წლის 4 ივლისს, დეკლარაციის მიღების დღეს, დამოუკიდებელმა კონტინენტურმა კონგრესმა ბენჯამენ ფრანკლინს, ჯონ ადამსს და თომას ჯეფერსონს დაავალა შეემუშავებინათ აშშ ბეჭდის პროექტი. ბენჯამენ ფრანკლინმა და თომას ჯეფერსონმა გადაწყვიტეს ამისათვის ბიბლიური მოტივი გამოეყენებინათ.**

არჩევანი შეაჩერეს ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლის სიუჟეტზე. კომპოზიციას თან ერთვოდა დევიზი: „უფლის ნებაა ტირანების წინააღმდეგ გამოსვლა“. ამ დევიზის ავტორად მიიჩნევენ ბენჯამენ ფრანკლინს. სიტყვები ნასესხებია XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის სასამართლო ტრიბუნალის თავმჯდომარის ჯ. ბრედშოუს ეპიგრაფიდან, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ინგლისის მეფეს იაკობ I-ს.

თ. ჯეფერსონის საქაღალდეებში ნაპოვნია ბეჭდის სხვა ვარიანტიც. თ. ჯეფერსონს აშშ-ს ბეჭდისათვის შესაფერისად მიაჩნდა ეზოპეს იგავის სცენა, დევიზით: „დაუმარცხებელია თუ იგი განუყოფელია“. საბოლოოდ თ. ჯეფერსონმა, მხარი დაუჭირა ბენჯამენ ფრანკლინის ვარიანტს, მაგრამ ბეჭდის ეს პროექტები არ მიიღეს.

ახალგაზრდა რესპუბლიკას სასწრაფოდ სჭირდებოდა სახელმწიფო ბეჭდის შემუშავება და დამტკიცება. 1782 წლის იანვარში აშშ სახელმწიფო ბეჭდის შესამუშავებლად კონგრესში შეიქმნა კომიტეტი ა. მიდლტონის, ე. ბუდინის, ჯ. რატლეკის შემადგენლობით. მათ საქმეში ჩართეს ჰერალდიკის მცოდნე უ. ბარტენი, მაგრამ მათი პროექტიც დაიწუნეს.

1782 წლის 13 მაისს კონგრესის მდივანმა ჩ. ტომპსონმა ყურადღებით შეისწავლა სახელმწიფო ბეჭდის ყველა წარმოდგენილი პროექტი. მან სახელმწიფო ბეჭდისათვის უ. ბარტენის ესკიზი შეარჩია. ბარტენთან კონსულტაციის შემდეგ, ჩ. ტომპსონმა, შესწორებები შეიტანა. უ. ბარტენის ესკიზში. 1782 წლის 20 მაისს კონგრესმა სახელმწიფო ბეჭდის ეს პროექტი დაამტკიცა.

სახელმწიფო ბეჭდის წინა მხარეზე გამოსახულია არწივი გაშლილი ფრთებით, რომელსაც ერთი ფეხის ბრჭყალებით უჭირავს ზეთისხილის ტოტი, ხოლო მეორეთი – ისრების კონა, რომელშიც 13 ისარია (იმ დროისათვის შტატების რაოდენობის შესაბამისად). არწივს გულ-მკერდზე აფარებული აქვს გერბის ფარი, რომელიც დაყოფილია 13 ვერტიკალური თეთრი და წითელი ზოლებით. ფარის თავი ლურჯი ფერისაა (შავ-თეთრი გამოსახულებისას ლურჯი და წითელი ფერი შეცვლილია შავი ფერით) არწივს ნისკარტით უჭირავს ლენტი წარწერით „მრავლიდან ერთი“ (რაც შეესაბამება მრავალი შტატის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას). არწივის თავზე ანათებს ცამეტი ვარსკვლავის თანავარსკვლავედი, რომელთა სხივები იჭრება ალყაშემორტყმულ ღრუბლებში.

ბეჭდის უკანა მხარის ცენტრში მდებარეობს დაუმთავრებელი პირამიდა. პირამიდის ფუძეზე თარიღია – 1776. პირამიდის თავზე ყოვლისმხედველი უფლის თვალია, რომლისგანაც ნათელი სხივებია გამობრწყინებული სამკუთხედის ფორმით.

თვალის ზემოთ დევიზია „შეეწევა წამოწყებას“, (მხედველობაშია, უფალი შეეწევა წამოწყებას). პირამიდის ქვეშ ლენტაზე წარწერაა: „დროის ახალი წესრიგი“. ბეჭდის უკანა მხარეს პრაქტიკულად არასოდეს არ იყენებდნენ. ბეჭდის ორივე მხარე გამოსახულია ერთდოლარიანი ბანკნოტის უკანა მხარეს.

1789 წლის 15 სექტემბერს აშშ კონგრესმა თავის პირველ სესიაზე მიიღო კანონი, რომლითაც 1782 წელს დამტკიცებული ბეჭედი გამოცხადდა აშშ სახელმწიფო ბეჭდად, გერბად, რის შემდეგაც აშშ სახელმწიფო დოკუმენტებს თან ერთვოდა აბრეშუმის ლენტზე დამაგრებული სანთელში ჩამოსხმული ბეჭედი. მოგვიანებით ბეჭდის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ბეჭედი ჩაისვა ოქროსა და ვერცხლის ბუდეში.

სახელმწიფო ბეჭდის ამგვარი გამოყენების ტრადიცია 1871 წელს გააუქმა სახელმწიფო მდივანმა გ. ფიშმა. ამ დროიდან მოყოლებული ყველა დოკუმენტზე ისმება სახელმწიფო ბეჭდის წინა მხარე.

ბეჭდის (გერბის) წინა მხარე გამოსახულია აშშ-ს უზენაესი სასამართლოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ბეჭედზე. ზოგიერთი მოდიფიკაციით, აშშ გერბად წარმოდგენილია აშშ-ს პრეზიდენტის ბეჭედში. მასთან ერთად გერბის წინა მხარე წარმოადგენს სხვადასხვა სამდივნოს (სამინისტროს) სხვადასხვა უწყების, მაგალითად, ეროვნული არქივის, კონგრესის ბიბლიოთეკის, და სხვათა ბეჭდებისა და გერბების განუყოფელ ნაწილს. გერბი გამოსახულია აშშ სამხედრო მოსამსახურეთა ქუდებზე, მუნდირების ღილებზე, სამკლავურებზე, აშშ გერბს ფართოდ იყენებენ დეკორატიული მიზნით.

გერბი ფერადი გამოსახულებით აშშ საელჩოების, დიპლომატიური მისიების, საკონსულოების შენობა გარე ფასადის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს.

**გიორგი გეწაძე,**
**თეიმურაზ გეწაძე.**

საპატიო სტუმრები

# ლორა ბუში, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი

## Laura Welch Bush, First Lady



**ლორა უელჩ ბუში, ჰარალდ და ჯენი უელჩის ერთადერთი ქალიშვილი დაიბადა და გაიზარდა ტეხასის შტატის ქალაქ მიდლენდში. 1968 წელს მან ტეხასის შტატის ქალაქ დალასის სამხრეთის მეთოდისტური უნივერსიტეტი დაამთავრა და პედაგოგიურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი მიიღო. ამის შემდგომ იგი დალასის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. 1969 წელს ლორა შევიდა ქალაქ ოსტინის ტეხასის უნივერსიტეტში, სადაც საბიბლიოთეკო საქმეს სწავლობდა და 1973 წელს მაგისტრის წოდება მიიღო. შემდეგ გარკვეული ხნის მანძილზე იგი ჰიუსტონის საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობდა, მერე კი კვლავ ქალაქ ოსტინში დაბრუნდა, სადაც 1977 წლამდე ერთ-ერთ სკოლაში ბიბლიოთეკარად მუშაობდა. იმავე წელს მეგობრებთან წვეულებაზე მან ჯორჯ ბუშ-უმცროსი გაიცნო. იმავე წლის ნოემბერში მათ იქორწინეს. მათ ორი ქალიშვილი შეეძინათ, რომლებსაც ბებიების პატივსაცემად ბარბარა და ჯენა დაარქვეს.**

ლორა ბუში ამერიკელი პოლიტიკოსის სამაგალითო მეუღლე გახდა, აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და ქველმოქმედებასა. როცა ჯორჯ ბუში ტეხასის გუბერნატორად აირჩიეს, ლორა მას აქტიურად ეხმარებოდა განათლების სფეროში ვითარების გაუმჯობესებაში. 1996 წელს, მან, კერძოდ, ტეხასის წიგნის ფესტივალი მოაწყო, სადაც საჯარო ბიბლიოთეკების წარმომადგენლებს პოტენციურ სპონსორებთან და პარტნიორებთან შეხვედრის შესაძლებლობა ჰქონდათ. 1998 წელს მან შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მშობლებს ბავშვების სკოლისთვის მომზადებაში ეხმარებოდა. მან ასევე შექმნა საოჯახო კითხვისთვის განკუთვნილი წიგნის გამომცემელთა საგანგებო ფონდი. ლორა ბუში აგრეთვე ენერგიულად მოღვაწეობდა ქველმოქმედების სფეროშიც, ხელს უწყობდა ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობის გამოკვეთების ხელშეწყობის ინიციატივებს. მას შემდეგ, რაც ამერიკის პირველი ქალბატონი გახდა, ლორა ბუშმა განაგრძო აღნიშნული პროექტები. იგი, კერძოდ, პროგრამის „მზად ვარ წავიკითხო, მზად ვარ ვისწავლო“ შემქმნელია, რომელიც მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლების, სკოლისთვის ბავშვების უკეთ მომზადებასა და ბავშვებთან მშობლების მეცადინეობის ხელშეწყობაზეა მიმართული. გარდა ამისა, ტეხასის წიგნის ფესტივალის მაგალითზე, რომელმაც განვლილი დროის მანძილზე დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, მან ეროვნული წიგნის ფესტივალიც შექმნა. ამერიკის შეერთებულ შტატებზე განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ ლორა ბუში პატრონაჟს უწევს ამერიკელ ვოლონტერთა სამსახურს, რომლებიც გასაჭირში ჩავარდნილ ახლობლებს ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ ეხმარებიან.

## ტეხასიდან – თეთრ სახლში

**ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი სამხრეთელ არისტოკრატთა ოჯახში აღიზარდა, რამაც მას ცხოვრების ფართო ასპარეზზე თავისუფლად გასვლაში დიდად შეუწყო ხელი.**

მომავალმა პრეზიდენტმა განათლება კერძო სკოლებსა და იელის უნივერსიტეტში მიიღო, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მან თავადაც არ იცის თუ როგორ უნდა გამოიყენოს საკუთარი გამოცდილება.

ვიეტნამის ომის დროს იგი ტეხასის შტატის ეროვნული გვარდიის რიგებში ჩაეწერა, ამიტომ ჯარში იგი არ გაუწვევიათ. ჯორჯ ბუში-უმცროსი სამხედრო მომზადებას საავიაციო ქვედანაყოფებში იღებდა, რომლებსაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ.



ამის შემდგომ დაიწყო მისი ჩამოყალიბება. ბუში-უმცროსი გახდა ბიზნესმენი და ბეისბოლის კლუბ „ტექსას რეინჯერსის“ გაყიდვით, რომელიც რამდენიმე წლით ადრე გროშებად იყიდა, პირველი ფული იშოვნა.

კონგრესში არჩევნებზე დამარცხების შემდეგ მან შტატის დონეზე პოლიტიკურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

ტეხასის შტატის გუბერნატორის არჩევნებისას იგი დემოკრატი ენ რიჩარდსის მოწინააღმდეგე იყო, რომელმაც მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ბუშს „ხეპრე“ უწოდა. ამის შედეგმაც არ დააყოვნა და რიჩარდსმა არჩევნები დიდი ჩამორჩენით წააგო.

საგულისხმოა ისიც, რომ ჯორჯ ბუშს მოწინააღმდეგეებთან ყოველთვის დიდი უპირატესობა ჰქონდა – მას ჯეროვნად არ აფასებდნენ.

მხარდაჭერა

## საქართველო სწორ გზას ადგას

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტი და მისი მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა ცხადყოფს, რომ საქართველო განვითარების სწორ გზას ადგას.**

როგორც გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, პრეზიდენტ ბუშთან დაგეგმილი შეხვედრისას რამდენიმე კონკრეტული თემა იქნება განხილული, მათ შორის საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის საკითხიც.

საქართველოს ხელისუფლება კარგად აცნობიერებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა არსებობს და კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, თუმცა, ამერიკის პრეზიდენტის მხარდაჭერა ცხადყოფს, რომ საქართველო სწორ გზას ადგას, – აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

გამარჯვება – 60

***გუშინ საქართველოს ყველა კუთხეში გაიმართა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებები. მოკლედ მოგითხრობთ რამდენიმე მათგანზე.***

**თბილისი**

**გამარჯვების დღე ვეტერანებს ქვეყნის პირველ პირებთან ერთად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მიულოცეს, რომლებმაც უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.**

**მეორე მსოფლიო ომში განსაკუთრებული წვლილი ჩვენს მამულიშვილს იოსებ სტალინს მიუძღვის. ის იყო სულისჩამდგმელი გამარჯვებისა და მისი სახელის გამო ხალხი ბრძოლაში მიდიოდა – აღნიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.**

**დღეისათვის საქართველოში მეორე მსოფლიო ომის 12 ათასამდე ვეტერანი ცხოვრობს, მათ შორის 3 ათასი – თბილისში.**

**ქუთაისი**

**ქუთაისელი ვეტერანების ნაწილმა უარი თქვა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობაზე. რადგან მისი აზრით ზეიმი სტალინის ძეგლთან შეკრებით უნდა დაწყებულიყო და არ გამოცხადდა საბრძოლო დიდების მემორიალთან, სადაც დილიდან ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით სხვადასხვა ღონისძიებები იმართებოდა.**

**სტალინის ძეგლთან მისულ ვეტერანებს ადგილობრივი კომუნისტები და სტალინელთა პარტიის წევრებიც შეუერთდნენ, რომლებმაც 50-მდე პიონერის თანხლებით ძეგლი გვირგვინებით შეამკეს.**

**ბათუმი**

**ფაშიზმზე გამარჯვების მე-60 წლისთავი გუშინ ბათუმშიც აღინიშნა. სამამულო ომის 553 ადგილობრივი ვეტერანი აჭარის მთავრობამ 1000-1000 ლარით დააჯილდოვა.**

**ვეტერანთა მსვლელობა ბათუმში თეატრიდან დაიწყო და დიდების ობელისკთან დასრულდა.**

**რუსთავი**

**გამარჯვების მე-60 წლისთავი რუსთაველმა ვეტერანებმა „დიდების ხეივანში“ აღნიშნეს, სადაც აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი საზეიმოდ გაიხსნა.**

**მემორიალის გახსნისათვის საჭირო 12 ათასი ლარი რუსთავის ბიუჯეტიდან გამოიყო.**

**ვეტერანებმა მთავრობის წევრებთან ერთად დიდების ხეივანში ნეკერჩხლის ნერგები დარგეს.**

**ყვარელი**

**ომის ვეტერანები „მამულისთვის თავდადებულთა“ სკვერში დილიდან შეიკრიბნენ.**

**მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად ვეტერანებმა მემორიალური დაფა ყვავილებით შეამკეს, შემდეგ კი ძმათა სასაფლაოზე გადაინაცვლეს.**

**ომის ვეტერანებს რაიონის ხელმძღვანელებმა ფულადი ჯილდო გადასცეს და საზეიმო წვეულება გაუმართეს.**

**ინტერ-პრესი.**

კომპეტენტური აზრი

# დღეს ამერიკის ხანაა

## გვესაუბრება პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი ზურაბ დავითაშვილი

***– ბატონო ზურაბ, თანამედროვე, გლობალიზებული საერთაშორისო სისტემა, მართლაც ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. იგი ჩამოყალიბების სტადიაშია და თუ როგორ განვითარდება მომავალში, საკმაოდ ბუნდოვანია...***

– მართალს ბრძანებთ, ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებს, რომ დღეს ერთიანი საერთაშორისო სისტემის ნაცვლად „ორი ზონა არსებობს“; ერთი მშვიდობისა და აყვავების (მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები), მეორე კი – არეულობისა და უწესრიგობის (მესამე სამყარო და ყოფილი საბჭოთა ბლოკი). ერთნი მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე სამყაროდაა გაყოფილი – აღმშენებლობით, ანუ შემაკავშირებელ და დამანგრეველ, ანუ დამაქუცმაცებელ ძალებად. ამასთან, საერთაშორისო სისტემა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორების გამომწვევი მიზეზიცაა, რომლებსაც სისტემის ცალკეული ნაწილებისათვის სტაბილურობა და აყვავება მოაქვთ, ხოლო სხვა ნაწილებისათვის შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგი მოიტანონ.

***– რამ შეცვალა მსოფლიო, ანუ რა არის ძირითადი, რაც ცივი ომის შემდგომ პერიოდს წინა პერიოდებისაგან განასხვავებს?***

– მთავარი ტენდენცია, რაც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი, მოკლედ, ორი სიტყვით, შეიძლება ასე ითქვას: – კაპიტალიზმის ტრიუმფი, სწორედ მისი საყოველთაო, გლობალურ სისტემად გადაქცევა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრება (უკეთესობისა ან უარესობისაკენ) და რამაც მოსპო ბარიერები, მსოფლიო ბაზრისათვის არის ის მთავარი ფაქტორი, რომელმაც საერთაშორისო პოლიტიკისა და თანამედროვე ისტორიის ხასიათი საფუძვლიანად გარდაქმნა.

***– მაგრამ, სამწუხაროდ, კაპიტალიზმის ტრიუმფი ხომ კეთილდღეობის ტრიუმფს არ ნიშნავს...***

– დიახ, საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონები ხშირად მძიმედ აისახება მოსახლეობაზე (გავიხსენოთ თუნდაც 1997 წლის აზიისა და 1988 წლის რუსეთის ფინანსური კრიზისები). ახალი ეკონომიკური წესრიგით წარმატებამოპოვებულმა ზოგიერთმა ფინანსისტ-ბიზნესმენმაც



კი (კერძოდ, ჯორჯ სოროსმა) ხელისუფლებას მოუწოდა აქტიურად ჩაერიოს ხოლმე ეკონომიკაში, მოსახლეობა ბაზრის სტიქიური შემოტევისაგან დაიცვას. ჩანს, ახალ კაპიტალიზმს აქვს დადებითი (პროდუქციის ზრდა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საწინდარია) და უარყოფითი (სტიქიურობა, კრიზისი, ინფლაცია, რაც მძიმედ აისახება მოსახლეობაზე) მხარეები. იგი, ფაქტობრივად, უკონტროლოა და მხოლოდ ბაზარი არეგულირებს, მაგრამ მისი ალტერნატივა არ არსებობს.

***– ორი პოლუსის (აშშ და სსრკ) ნაცვლად, ცივი ომის შემდეგ, ერთადერთი პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები დარჩა...***

– თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მისი უნიპოლარულობა გახდა.

არასოდეს, უახლესი ისტორიის მანძილზე, ერთ ქვეყანას არა ჰქონია სხვებთან შედარებით ასეთი უპირატესობა საერთაშორისო სისტემაში, როგორც დღეს ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ამერიკის ხანაა.

საბჭოური „პერესტროიკის“ კურსის კრახმა აღმოსავლეთ ევროპაში დაანგრია სოციალიზმი, ხოლო თვითონ საბჭოთა კავშირის, როგორც ეკონომიკურმა, ისე პოლიტიკურმა დასუსტებამ, აშშ კონკურენტის გარეშე დატოვა. ამას მოჰყვა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომი, სადაც ამერიკის გამარჯვებამ ყოველგვარი დანაკარგების გარეშე, უაღრესად გაზარდა მისი პრესტიჟი. ამას მორალური მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამერიკელებისთვის (მოეხსნათ ე. წ. „ვიეტნამის სინდრომი“). ამ გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, ამან კი აშშ-ის დასუსტებისა და გავლენის დაკარგვის მითს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა.

***– ასეთი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ფონზე განა ამერიკას სერიოზული პრობლემა აღარაფერი რჩებოდა?***

– პრობლემად მაინც რჩებოდა ამერიკის ეკონომიკური სიძნელეები, რაც ფინანსურ დეფიციტში (ხარჯები სჭარბობდა შემოსავალს, რომელიც გადასახადებიდან შემოდიოდა) გამოიხატებოდა. მაგრამ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდი (1993-2002) უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისათვის. ეკონომიკური აღმავლობისა და წარმოების ზრდის ტემპები უპრეცედენტო იყო, რამაც სახელმწიფო ფასიანი აქციების ღირებულება გააათხმაგა და ფინანსურმა შემოსავლებმა ბევრად გადააჭარბა ხარჯებს. შეიქმნა 10 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი და უმუშევრობა მინიმუმამდე დავიდა.

***– გამოდის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისითაც გლობალიზაციამ ამერიკაზე უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინა.***

– დიახ, ამ მოვლენებმა აშშ თანამედროვე მსოფლიოს ჭეშმარიტი ჰეგემონი გახადა. ფაქტობრივად, მან თავის ხელში აიღო მსოფლიოს ყველა სერიოზული კონფლიქტის მოგვარება (ბოსნიის, კორეის, ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-პაკისტანისა და ა. შ.) თანაც ისე, რომ ხშირად ამას ერთპიროვნულად აკეთებს (ამის დასტურია აშშ-ის ომი ერაყში 2003 წლის გაზაფხულზე), ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები და თანხმობა სხვადასხვა ღონისძიების გატარებაზე აშშ-ის კარნახით ხდება.

***– და მაინც, ამერიკისთვის შოკი აღმოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები...***

– მაგრამ ამ მოვლენამ კიდევ უფრო გაზარდა მისი გავლენა და როლი მსოფლიოში! ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ განხორციელებულმა ოპერაციამ საშუალება მისცა ამერიკას თავისი სამხედრო კონტინგენტი უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში შეეყვანა. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამერიკა ცენტრალურ აზიაში მკვიდრდება. ეს ძირეულად ცვლის გეოპოლიტიკურ წესრიგს ამ რეგიონში. ხოლო 2002 წლის მაისში საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების კონტინგენტის შემოყვანა და მათ მიერ ქართული არმიის მომზადება მიგვანიშნებს, რომ კავკასიაც უკვე შევიდა ამერიკის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში.

ამიტომაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ასეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს პრეზიდენტის სტუმრობა დიდი პატივი და დაფასებაა. კეთილი იყოს ბუშის ჩამობრძანება, დაე, ჩვენი ქვეყანაც მალე გაბრწყინებულიყოს.

ესაუბრა
**მარადი ანასაშვილი.**

9 მაისი





# მიხეილ სააკაშვილი: არ არის სხვა ერი, რომელსაც ამდენი დამსახურება ჰქონდეს ამ ომში

(პირველი გვერდიდან)

იცით, რომ ჩვენი სახელმწიფო მდიდარი არ არის. მაგრამ ბოლო დროის განმავლობაში ვეტერანებისთვის რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ. ჩვენ შემოვიღეთ ყველა ვეტერანისთვის უფასო მკურნალობა და ეს დღესაც ძალაშია. ჩვენ შევძელით 2.400 ადამიანზე მეტი წაგვეყვანა და დაგვესვენებინა. წელს ზაფხულში კიდევ ბევრად მეტის წაყვანას შევძლებთ. ესეც ყველაფერი სახელმწიფოს ხარჯზე. რა დახმარების გაწევაც შეგვეძლო, ყველგან ეს დახმარება დარიგდა. ასეთ ღონისძიებებს ჩვენ ამ ზეიმის შემდეგაც გავაგრძელებთ.

ვიცი, რომ თქვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გიჭირთ. მე აქ ვნახე ჩემი პატარა სეხნია, მეორე ბავშვიც, რომლებიც მოვიდნენ იმიტომ, რომ მათი ოჯახის წევრებს აღარ შეუძლიათ მოსვლა, ზოგიერთი შინ ლოგინად არის ჩავარდნილი, ზოგიერთი აღარ არის. მიხარია, რომ მათმა შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა დაიბნიეს მათი ორდენები და მედლები. აი, ეს არის თაობათა შორის ესტაფეტა, აი, ეს არის განსაკუთრებული დაფასება.

მე ვიყავი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე და იცით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 9 მაისის აღსანიშნავად არასოდეს ფოიერვერკი აღარ გამართულა. მაშინ ჩვენ, თბილისის საკრებულომ, ორი წლის წინათ აღვადგინეთ ეს ტრადიცია, მაშინ პირველად 9 მაისის აღსანიშნავად აღვადგინეთ სალუტები.

დღესაც, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოში (მაშინ ეს მხოლოდ თბილისში გაკეთდა) იქნება თქვენი გმირობის, თქვენი დამსახურების აღსანიშნავი სალუტები.

თქვენ ხართ ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის, ჩემი დიდი ბებიისა და ჩემი დიდი ბაბუის თაობა, იმ ხალხის, რომელთაც მე გამზარდეს. ვიცი, რას ნიშნავს ამ თაობის გმირობა. 92-93 წლებში ომის ვეტერანებმა ყველაზე გაბედულად იბრძოლეს საქართველოს ტერიტორიის დასაცავად აფხაზეთში. ჩვენი სირცხვილია, რომ ისინი იქიდან გამოყარეს. ჩვენი სირცხვილია, რომ მელიტონ ქანთარია იქიდან გამოაგდეს.

ამას წინათ უკრაინაში პრეზიდენტთან ერთად შემხვდა იქაური ვეტერანი და მითხრა: „მე ვარ მელიტონ ქანთარიას ახლო მეგობარი, მინდოდა ჩასვლა აფხაზეთში, რათა მომენახულებინა ის სახლი, სადაც რამდენჯერმე ვყოფილვარ, მომენახულებინა მისი საფლავი (მას ეგონა, რომ მელიტონ ქანთარია იქ იყო დასაფლავებული) და მე იქ აღარ შემიშვეს“.

ესეც ჩვენი სირცხვილია. მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ: გამოჩნდებიან ახალი ქანთარიები, რადგან ამ დროშას სჭირდება იქ დაბრუნება და სჭირდება ხელახლა აღმართვა. და მე ამაში დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თაობა ამას გააკეთებს, მე ამას გპირდებით ყველას.

მინდა კიდევ ერთხელ მოვიხარო ქედი თქვენს წინაშე.

დღეს ყველგან ღონისძიებებია დაგეგმილი. მე ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ დღეს არსად არ წავსულიყავი, განსაკუთრებით იმ მიზეზების გამო, რომლებზეც დღეს მოგახსენეთ: არავისზე ნაკლები ჩვენ არა ვართ და ბევრად მეტიც გაგვიკეთებია ამ ომში.

ჩვენ მივესალმებით ჩვენს ვეტერანებს, სტუმრებს უკრაინიდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ და მინდა, რომ დღეს ყველამ ერთად ვიზეიმოთ. მე ვარ თქვენთან ერთად მოზეიმე.

მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ 9 მაისი — ძალიან ლამაზი დღესასწაული.

განათლება

# ამერიკელი, რომელიც საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება

## რა მოეწონა ჩვენთან დონალდ თომასს და რატომ აპირებს უთუოდ დაბრუნებას?

**ჯორჯ ბუშის ვიზიტმა თბილისი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, სიმშვიდე შეინარჩუნა მისმა ერთმა პატარა ნაწილმა — „ამერიკულმა აკადემიამ თბილისში“, რომელსაც დღეს ქალბატონი ლორა ბუში ეწვევა. სწორედ ამის გამო მოექცა სასაწვლებელი მედიის ყურადღების ცენტრში.**

იმის მიუხედავად, რომ აკადემიაში ამერიკის პირველი ლედის ვიზიტამდე ორი კვირით ადრე დაიწყეს მზადება (რაც, პირველ რიგში, უსაფრთხოების ზომების შემუშავებას გულისხმობს), სასწავლო პროცესს ხელი არ შეშლია. სკოლის დირექტორმა დონალდ თომასმა გუშინ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ისინი უკვე მზად იყვნენ ლორა ბუშის დასახვედრად.

რატომ გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა ლედიმ მათთან საუბრობა? ამაზე ბატონ დონალდ თომასს მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეუძლია:

— მიზეზს ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან მე მასთან არ მისაუბრია. ვფიქრობ, ლორა ბუში ჩვენით იმის გამო დაინტერესდა, რომ „ამერიკული აკადემია“ არის პირველი ამერიკული სკოლა თბილისში.

ამასთან, დონალდ თომასი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მათს სკოლას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ეხმარება (საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან, ჰარვარდის უნივერსიტეტთან, სიმონს კოლეჯსა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ერთად).

ბატონი დონალდ თომასი ივნისის ბოლოს გაემგზავრება ჩვენი ქვეყნიდან. როგორც აღმოჩნდა, მას არაფერი სმენოდა საქართველოზე მანამ, სანამ გივი ზალდასტანიშვილმა არ გააცნო თბილისში ამერიკული აკადემიის დაარსების იდეა. ამის შესახებ ისინი ედუარდ შევარდნაძეს, ბიზნესმენებს და



დაინტერესებულ პირებს ესაუბრნენ. საერთო მოწადინების მიუხედავად, იდეის ხორცშესხმა, დაახლოებით რვა წელიწადი დასჭირდა — „ამერიკული აკადემია თბილისში“ 2001 წელს დაარსდა.

ეს არის ძველი, სწავლების საბჭოთა მოდელის უარმყოფელი და დასავლური მოდელის დამნერგავი სკოლა, რომელიც ამერიკული და ევროპული სკოლების საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილებას ითვალისწინებს. „ამერიკის აკადემიაში“ სწავლა ოთხწლიანია (IX-XII კლასები). სკოლაში მისაღებად აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა, რადგან სწავლების ძირითადი ენა სწორედ ინგლისურია (ამასთან, ისწავლება ქართული და რუსული ენები). აკადემიაში სწავლის მსურველები ტესტირებას გადიან ინგლისურ ენაში, (რომელსაც საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები ატარებენ, მათემატიკისა და ესეს წერაში. ამის შემდეგ კი მათ გასაუბრება ელოდებათ.

ამერიკის სასწავლო პროგრამისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მიხვდეთ — თბილისში ნამდვილი დასავლური განათლების კერა არსებობს. სწავლის საფასურიც „დასავლურია“ — წელიწადში ხუთი ათასი დოლარი (როგორც ამბობენ, სწავლაში ჩადებული ფული საუკეთესო ინვესტიციაა, რა თქმა უნდა, მათთვის, ვისაც ხელი მიუწვდება).

ამერიკის აკადემიაში ორასი მოსწავლე იძენს განათლებას. სკოლის დირექტორი მათი ნიჭიერებით აღფრთოვანებულია.

აქ გატარებულმა ოთხმა წელიწადმა დონალდ თომასს ჩვენი ქვეყანა ძალიან შეაყვარა:

— მიყვარს საქართველო, ქართველები, ქართული ღვინო, კერძები და ყველაფერი ქართული.

ეს არის ტრაფარეტული სიტყვები, რომლებსაც სტუმრები ხშირად ამბობენ მასპინძელთა გულის მოსაგებად თუ, უბრალოდ, თავაზიანობის გამოსაჩენად. მისი გულწრფელობა ძნელად შესამჩნევი არ არის.

ადრევე გითხრათ, აკადემიის დირექტორი ივნისის ბოლოსთვის აპირებს გამგზავრებას-მეთქი (მისი შემცვლელი ბატონი ლასენი გუშინ ჩამოვიდა თბილისში):

— ვფიქრობ, მე უკვე გავაკეთე ჩემი საქმე.

წარმატებით დაწყებულ მოღვაწეობას, სავარაუდოდ, ახალი დირექტორიც ასევე წარმატებულად განაგრძობს. დონალდ თომასი კი საქართველოსთან, აქ შეძენილ მეგობრებთან კავშირს არ გაწყვეტს:

— მე აუცილებლად დავბრუნდები, — ამ სიტყვებით დასრულდა ჩვენი საუბარი.

**რუსუდან გახარია.**

ეს იყო...

# „Надо делать“

**ჰიტლერული არმიის თავდასხმიდან რამდენიმე დღეში ცნობილ საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფმა სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის სახელზე გაგზავნა წერილი, სადაც ისინი ითხოვდნენ ქვეყნის ფართო სამეცნიერო წრეების ჩაბმას ომის აქტუალურ საკითხებზე სამუშაოდ. წერილის მიღების მეორე დღესვე მეცნიერები კრემლში მიიწვიეს. ამ მიწვევაზევე გადაწყდა (შესაშური ოპერატიულობით), რომ თავდაცვის კომიტეტთან შექმნილიყო თავისებური სამეცნიერო შტაბი, სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, ხოლო საწარმო-დაწესებულებებთან, სამხედროებსა და სამეცნიერო წრეებთან სწრაფი ოპერატიულობისათვის ამ საბჭოსთან შეიქმნა მცირერიცხოვანი, 3-4-კაციანი რწმუნებულის აპარატი. საბჭოთა მეცნიერების უდიდეს წვლილზე სამამულო ომში გამარჯვებაზე ბევრია დაწერილი და აქ ამაზე არ შევჩერდები.**



1942 წლის შემოდგომაზე, როცა მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებული იყო ქვეყნის უდიდესი ტერიტორია (ჩრდილოეთით ლენინგრადი ბლოკადაში იყო მოქცეული, სამხრეთით კავკასიას მოადგნენ), როცა ფრონტი ყოველ წუთს მოითხოვდა დიდი რაოდენობით საწვავს ტანკებისა და ავიაციისათვის, ასაფეთქებელ ნივთიერებებს, იარაღს, ექიმებს, საკომუნიკაციო აპარატებს, ტანსაცმელს, საკვებს, ამ უმძიმეს და გადამწყვეტ წუთებში უმაღლესი მთავარსარდლობა, პირადად სტალინი იღებს გადაწყვეტილებას და ათეული, ასეული მილიონი მანეთი, ადამიანები, მასალები გადასროლილი იქნა მეცნიერების სრულიად ახალი დარგის — ატომური ფიზიკის განვითარებისათვის. ძალიან ბევრს, თვით სამეცნიერო წრეებშიც, ეს იდეა ფანტასტიკურად ეჩვენებოდა. ისინი ამბობდნენ, რომ უახლესი 15-20 წლის განმავლობაში ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა და ამ გაჩაღებული ომის დროს ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანთა და ფულადი რესურსების მობილიზაცია მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. ეს ისტორია ასე დაიწყო. პირადად სტალინის სახელზე გაგზავნილ იქნა მეცნიერთა წერილი, რომელშიც ისინი ასაბუთებდნენ ატომური იარაღის პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო ცენტრის შექმნის აუცილებლობას. ამ წერილის ასლები გაეგზავნა დასკვნისა და საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად შესაბამის უწყებებს, მიღებული პასუხების საფუძველზე მომზადდა ვრცელი მოხსენება. ბევრი იყო წინააღმდეგი. მათ შორის მთავარი — გოსპლანი. რა თქმა უნდა აქ იყო რისკის მომენტი, მაგრამ ჯერ ერთი — მეცნიერების ახალი დარგების განვითარებაში ფულის ჩადება, როგორც მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, ყოველთვის ამართლებს და მეორე, თუ ამ რისკზე არ წავიდოდნენ შეიძლება უიარაღოდ აღმოჩენილიყვნენ მტრის წინაშე, რომელიც უკვე შეიარაღებული იქნებოდა და უძლიერესი ძალით (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბჭობა ერეკლე მეორის კარზე. მაშინ თითქმის ყველა შეკრებილი ერეკლეს უმტკიცებდა ალა-მაჰმად ხანი ვერ გაბედავს საქართველოზე გამოლაშქრებასო. ბოლოს ერეკლე სოლომონ ლეონიძეს შეეკითხა — შენ რას იტყვიო? — რომ გაბედოსო? — იყო პასუხი და ვაგლახ რომ გაბედა და თან როგორ). სტალინი დიდხანს ყურადღებით ისმენდა მოხსენებას, თან აუჩქარებლად დადიოდა. ბოლოს გაჩერდა და თქვა — „Надо делать“ — და დაიწყო საჭირო ადამიანების მოძებნა, ჩამოყვანა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან, მათთვის ელემენტარული საყოფაცხოვრებო, საარსებო, სამუშაო პირობების შექმნა, საცხოვრებელი ფართის მოძებნა მოსკოვში, სამეცნიერო ლაბორატორიისათვის ტერიტორიის გამოძებნა, მისი აღჭურვა აუცილებელი დანადგარებით, მასალებით, ინსტრუმენტებით და ა. შ., რაც მთავარია არ იყო ნედლეული — ურანი. დაიწყეს ურანის მოძიება აღმოსავლეთში. ასევე ომის წლებში ჩაეყარა საფუძველი ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვა-მოძიებას ქვეყნის აღმოსავლეთში, ამ დროს შეიქმნა გაზის მრეწველობა, რომლის ბაზაზეც წარმოიშვა შემდეგ გაზის მრეწველობის სამინისტრო. დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ ახალგაზრდა კადრები. ამ დროს ჩამოყალიბდა შემდეგში ცნობილი მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტი МИФИ და დატრიალდა საქმე. ხოლო ქვეყნის დასავლეთში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა თვითოეული ქალაქის, დასახლებული პუნქტისა თუ შენობებისათვის. ომი ყოველ საათს მოითხოვდა იარაღს, ადამიანებს, კადრებს, მასალებს, საწვავს, წამლებს, ექიმებს, ტანკებს, თვითმფრინავებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

ომის პერიოდში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად ჩატარებულმა უდიდესმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ბიძგი მისცა არა მარტო ატომური ბომბის შექმნას, არამედ სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგების ჩამოყალიბებასა და მათ სწრაფ განვითარებას. მაგალითად, ასაფეთქებელ ნივთიერებათა მწარმოებელ ქარხნებში დანერგილმა, აკადემიკოს ა. კაპიცას მიერ შემუშავებულმა თხევადი ჟანგბადის მიღების მეთოდმა დააჩქარა არა მარტო ყუმბარებისა და ბომბების დიდი რაოდენობით გამოშვება, არამედ მთელი რევოლუცია მოახდინა მეტალურგიაში, სადაც მარტენის ღუმელის მაგივრად ფოლადის გამოდნობა დაიწყეს უფრო ეფექტიან ჟანგბადის კონვერტორებში და სხვა.

რა თქმა უნდა, აქ იყო რისკის მომენტი. მაგრამ მას უკან იდგა ქვეყნის სამეცნიერო წრეებთან მუდმივი ურთიერთობის შედეგად და შესაბამისი უწყებების მიერ მიღებული დასკვნების საფუძველზე გაკეთებული გადაწყვეტილება. პროგნოზი სწორად იქნა გაკეთებული. სწორედ საბჭოთა მეცნიერების თავდაუზოგავმა შრომამ, მათმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა გადააქცია ევროპის ნახევრადჩამორჩენილი ქვეყანა — რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს და მოწინავე სახელმწიფოდ. სხვათა შორის, მსოფლიოს მოწინავე ანალიტიკოსები იაპონიის წარმატების საიდუმლოს ასევე სახელმწიფოს მიერ განათლებაზე დროულად და სწორად დადებულ ფსონს მიიჩნევენ.



ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა სხვა საკითხსაც შევეხოთ. ნებისმიერი არმიის ბრძოლისუნარიანობა განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით: ხარისხით და რაოდენობით, ანუ საბრძოლო ტექნიკის რაოდენობაზე და სამხედრო პერსონალის (განსაკუთრებით ოფიცრებისა და გენერლების) საბრძოლო და მორალურ მომზადებაზე. ომის დროს იარაღისა და ტექნიკის დიდი რაოდენობა კი არ არის მთავარი (თვით ზემძლავრი იარაღიც) არამედ სხვადასხვა სახის, დანიშნულების ტექნიკისა და შეიარაღების გონივრული თანაფარდობა. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში დამუშავდა ოკეანის ფლოტის აღჭურვის პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა დაწყებულიყო მძიმე კრეისერების სერიული გამოშვება და ამ დროს სრულად არ ითვალისწინებდნენ ავიამზიდების დამზადებას, რაც მომავალ ფლოტს ნებისმიერი მოწინააღმდეგის ავიაცია საბრძოლო ოპერაციების დაწყებისთანავე მთლიანად მოსპობდა. სამამულო ომის დაწყების პირველ პერიოდში დიდი უპირატესობა მოიპოვა გერმანიის ავიაციამ. საბჭოთა მფრინავებმა 1943 წლამდე ვერ შეძლეს ჰაერში გაბატონება. საბჭოთა მფრინავებს ჰაერში საშუალოდ 20-30 საათი ჰქონდათ გატარებული, მაშინ როცა გერმანელთა სამხედრო მომზადების პროგრამა ჰაერში 400-450-საათიან ყოფნას ითვალისწინებდა. ამიტომ საბჭოთა მფრინავები რთული მანევრირების ტექნიკას თითქმის არ ფლობდნენ. და ძირითადად აფრენასა და დაჯდომის ტექნიკაზე ვარჯიშობდნენ. ასევე ჩამორჩებოდა საბჭოთა ავიატექნიკაც. 1943 წლიდან საბჭოთა ავიაკონსტრუქტორებმა შეძლეს გარდატეხების შეტანა თვითმფრინავების კონსტრუირების საქმეში, თუმცა ეს მიღწევები ვერ იქნა სრულად გამოყენებული. აი რას წერდა გერმანელი გენერალი ვალტერ შვაიბედისენი — „რუსები ვერ იყენებდნენ საბჭოთა ტექნიკის მიღწევებს თვით 1943 წლის შემდეგ. ისინი აგებდნენ ჰაერში ბრძოლას გამოცდილებით და მეთაურთა კორპუსის სამხედრო განათლების მხრივ და როცა მიაღწიეს ტექნიკურ უპირატესობას, მისი რეალიზაცია ვერ შეძლეს, რისი მიზეზიც იყო არმიაში გაბატონებული ფორმალიზმი და ოფიცერთა არც თუ მაღალი ინტელექტუალური დონე, რომელიც თვით საუკეთესო შემთხვევაშიც კი შეიძლება მხოლოდ საშუალოდ შეფასებულიყო (როგორია ჩვენი გენერალიტეტის ინტელექტუალური დონე? ან ვისი განსაკუთრებული ყურადღების საგანია მათი განათლება!) რაც ხელს უშლიდა საბჭოთა ავიაკონსტრუქტორების მიღწევების გამოყენებას. მათ არ შეეძლოთ ინიციატივის გამოჩენა და დამოუკიდებლად შექმნილი სიტუაციის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და დროულად რეაგირება. ხოლო როცა 1944 წლის ივნისის თვეში მოკავშირეები გადმოსხდნენ ნორმანდიაში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის ავიაცია თითქმის აღარ არსებობდა და ფაქტობრივად ვერ ეხმარებოდა ვერმახტის ჯარის ნაწილებს“.

ცნობილი სამხედრო ექსპერტის აზრით, როცა სახეზეა არმიის პირადი შემადგენლობის (განსაკუთრებით მისი ოფიცრებითა და გენერლებით) არც თუ ისე მაღალი სამხედრო მომზადებისა და განათლების დონე, ქვეყნის სამხედრო სტრატეგია უნდა იყოს თავდაცვითი, ვიდრე თავდასხმითი, რადგან ის უფრო მარტივია. არ საჭიროებს (ან ნაკლებად საჭიროებს) ინიციატივებს, მანევრირების, მობილურობის მაღალ დონეს. და ძირითადად რეაგირების პროცესებთან აქვს საქმე. ასეთი სტრატეგიის დროს შეცდომებით გამოწვეული ზარალის მასშტაბები მცირეა და შედეგები ნაკლებად სავალალო ანუ როცა სახეზე ჯარის პირადი შემადგენლობის არც თუ ისე მაღალი მომზადებაა, სტრატეგია უნდა იყოს არა დარტყმის, არამედ დასუსტების პოლიტიკა. ამ დასკვნების გააზრება და გათვალისწინება არც ჩვენ გვაწყენს.

დაბოლოს ამერიკელმა მეცნიერმა მაიკლ ჰარტმა გამოსცა წიგნი „ასი ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება რიგის მიხედვით“. აქ ავტორის მიერ მოყვანილია არა მარტო უჭკვიანესი და უნიჭიერესი ადამიანები, არამედ ყველა ის პიროვნება, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კაცობრიობის ისტორიაზე. ამ გენიოსებს შორის ყველაზე ბევრია მეცნიერი და გამომგონებელი. მათი რიცხვი 37-ია, თანაც უმეტესი მათგანი პირველ ოცეულს წარმოადგენენ: გუტენბერგი, პასტერი, გალილეი, დარვინი, ეინშტეინი და ა. შ. შემდეგი კატეგორია პოლიტიკოსები და მხედართმთავრები — მათი რიცხვი 30-ია, შემდეგ ფილოსოფოსები — 14. დანარჩენი მოაზროვნეები, მუსიკის, ხელოვნების, ლიტერატურის დარგის უდიდესი წარმომადგენლები — შექსპირი, ჰომეროსი, მიქელანჯელო, პიკასო, ბეთჰოვენი, ბახი და ა. შ. გენიოსების განაწილება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არათანაბარია. მაგალითად ლათინური ამერიკა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი — სიმონ ბოლივარით, აფრიკა — 3, აშშ — 7, აზია — 18, დანარჩენი 71 ევროპაშია დაბადებული. აქედან ყველაზე დიდი წვლილი ინგლისს მიუძღვის — 18 (აქედან 5 შოტლანდიელია! ეს ძალიან დიდი რიცხვია ასეთი მცირერიცხოვანი ერისათვის) შემდეგ მოდის გერმანია და ავსტრია — 15 (ბოროტების გენიის ჰიტლერის ჩათვლით) შემდეგ ფრანგები — 10, იტალიელი და რომაელი — 8, ესპანელი — 4, რუსეთი — 3 (პეტრე I, ლენინი, **სტალინი**).

**მედეა თავდიშვილი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

აჭარა

# პრივატიზების მრავალწახნაგი

## სამუდამო შერწყმის სიმბოლო

**ბათუმში გასამგზავრებლად დათქმულ დროს თითქმის ერთი საათი გადავაცილეთ. დამნაშავე ქართული დაუდევრობა გახლდათ. ბოლოს, როგორც იქნა, ლერი პაპუაშვილის მიკროავტობუსმა „აფრები აუშვა“ და გზას დაადგა. გზა კი საკმაოდ გრძელია. ჩვენი ანგარიშით, ბათუმში ორი საათისთვის ვიქნებით. იქ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრთან ერთად უნდა დავათვალიეროთ გაყიდული და გასაყიდი ობიექტები. ვიცით, ეს პროცესი როგორ მტკივნეულად მიდის — ვინ ეთანხმება და ვინ არა. ყოველ მათგანს თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ „ქარავანი მაინც თავისი გზით მიდის“. მიკროავტობუსში შესაბამისი განწყობილებაა:**

**— ვისია ეს მშვენიერი ავტომანქანა?! — აინტერესებს რომელიღაც ჟურნალისტს.**

**— ჩვენია, — ეპასუხება ლერი. — ჯერ არ გაგიყიდიათ? — არა, ბენდუქიძეს ველოდებით...**

**ვიცინით. დიდი ხანია, კახა ბენდუქიძე პრივატიზების სიმბოლოდ იქცა...**



აჭარაშიც, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საავტომობილო გზების განახლება-რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. დიდი თანხები იხარჯება. მაგრამ გზა ჰაერივით არის: არ გექნება? — გაიგუდები. ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ვინაიდან ინვესტორი უგზო ქვეყანას ისევე უფრთხის, როგორც მონადირე — უამინდობას. ჩოლოქის ხიდამდე შვიდკილომეტრიანი მონაკვეთი ისეთია, დამუხრუჭებას ან ორმოებისთვის გვერდის ავლას აზრი არა აქვს. მარჯვენა მხარეს ხრეშის დიდი გორებია. მოგვიანებით გვეტყვიან, რომ გზის ზედაპირს მალე მოასწორებენ და ასფალტს დააგებენ. დღეს 5 მაისია, ხვალ, 6 მაისს, ჩოლოქის ხიდის საზეიმო გახსნაა. ეს ისეთი მოვლენაა, რომ თვით მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი დაესწრება. ხიდთან ნარინჯისფერქურთუკიანი ადამიანები ფუსფუსებენ. მიკროავტობუსი მდინარის მეორე მხარეს დროებითი ხიდით გადადის და ჩერდება: „წუთშესვენებით“ უნდა ვისარგებლოთ და მშენებლებს გავესაუბროთ. სხვა რომ არაფერი, გვაინტერესებს: მოასწრებენ დარჩენილი სამუშაოების მომთავრებას?

ჩოლოქის ძველი ხიდის აფეთქებიდან ზუსტად ერთი წელიწადი გავიდა. **ამ აქტით ასლან აბაშიძემ საბოლოოდ მოჭრა ის ტოტი, რომელზეც თავისი შეთხელებული, მაგრამ ერთგული გარემოცვით იჯდა. სხვათა შორის, „ერთიანი საქართველოს“ სახელით ის წლების მანძილზე, საქმით და სიტყვით ამკვიდრებდა სეპარატიზმს, რომლის თავიდათავი საქართველოს გაერთიანება კი არა, დაშლა-დაქუცმაცება იყო. კიდევ დარჩნენ თუ არა მისი თაყვანისმცემლები აჭარაში? ალბათ, დარჩნენ. მათი გადარწმუნება თეორიებით კი არა, კონკრეტული საქმით უნდა შევძლოთ. აქეთკენ არის მოწოდებული ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიებები.**

მაგრამ, მოდით, ვარაუდები და პროგნოზები დროებით განზე გადავდოთ და გავესაუბროთ წამყვან ინჟინერს ირაკლი შანავას, რომელიც მუშებს თავზე ადგას, საკუთარი თვალით ამოწმებს, რას და როგორ აკეთებენ. ორიოდე სიტყვით გაუწყებთ, რომ სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ზიმო“, რომელსაც „ერთ-ერთი საუკეთესო მშენებელი“ (ირაკლი შანავას სიტყვებია) ზურაბ კიკნაძე თავკაცობს. მთავარი ინჟინერია ასევე ჩინებული სპეციალისტი ილია ქავთარაძე.

ირაკლი შანავა: — ტენდერის პირობების მიხედვით ხიდის მშენებლობა 9 თვეში უნდა დაგვესრულებინა. ჩვენ, მშენებლებმა, ეს ვადა 4 თვით შევამცირეთ — გიორგობას, „ვარდების რევოლუციის“ წლისთავს დავამთხვიეთ. დიდი სამუშაოები შესრულდა — ძველი ხიდის დემონტაჟიდან სრულიად ახლის აგებამდე. მუშახელის რაოდენობა საჭიროებისდა მიხედვით 20-45-ის ფარგლებში მერყეობდა. გაიხარჯა 500 კუბური მეტრი რკინა-ბეტონი. ხიდის სიგრძე 68 მეტრია. მშენებლობა 1,5 მილიონი ლარი დაჯდა. ახლა წვრილ-წვრილი „კუდების“ გასწორება დაგვრჩა. ხვალ მობრძანდით და ნახეთ, როგორ გაისარჯნენ დავით ბასილია, დემურ ხვადაგიანი, თამაზ ჯანაშია, არჩილ ვერძაძე. და არა მარტო ისინი: ყოველმა მშენებელმა ობიექტში თავისი გულის ნაწილი ჩადო, რადგან იგი დედასამშობლოსთან აჭარის სამუდამო შეერთების სიმბოლოდ მიაჩნია.

**საჭიროა თუ არა ემოციები? რა თქმა უნდა, საჭიროა. ხვალ ეს ემოციები აშკარად და უშურველად გადმოიღვრება. სურვილი ერთადერთია: დაე, ეს ხიდი საქართველოს დღევანდელი არც თუ მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების სასიკეთოდ შეცვლის გარანტი იყოს...**

## რას ვყიდით და რატომ?

ძველი ხალხური სიბრძნე ღაღადებს, ბაზარში ორი სულელია — ერთი გამყიდველი, მეორე — მყიდველიო. არ ვიცი, რამდენად შეესატყვისება იგი რეალობას, მაგრამ, რახან არსებობს, ალბათ, ანგარიშგასაწევია. მყიდველსაც და გამყიდველსაც თავთავისი ინტერესი ამოძრავებს. ამ შემთხვევაში ჩვენ, გამყიდველებმა, იმდენი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ ამ არც თუ პოპულარული საქმიდან რაიმე სარგებელი „გამოვადნოთ“. მინისტრს ალექსი ალექსიშვილს გასაყიდად განწირული ობიექტების გაცნობაც აინტერესებს და მდგომარეობაც. ჩვენ, ჟურნალისტები კი დამატებით იმის „გამოჩხრეკასაც“ შევეცდებით, როგორ უყურებენ ამ პროცესს ობიექტთა ახლანდელი მეპატრონეები. პირველი რესპონდენტი სანატორიუმ „საქართველოს“ მთავარი ექიმი მალხაზ ჭიპაშვილია. ჯერ ნაგებობებს ვათვალიერებთ. სავალალო მდგომარეობაშია 1960 წელს აშენებული კორპუსები. გულახდილად გითხრათ, დღევანდელი საზომით თუ მივუდგებით, არც დერეფნები და არც საცხოვრებელი ოთახები ბრწყინავს. სივიწროვე, დაბალი ჭერი დამსვენებელს „ხელის ფართოდ გაშლის“ საშუალებას ნამდვილად ვერ მისცემდა. რას ვიზამთ, საბჭოურ პერიოდში ბევრ რამეს ისე აგებდნენ, როგორც „ცენტრიდან“ უბრძანებდნენ. კარგად გვახსოვს დევიზი „სწრაფად, იაფად, ხარისხიანად“. სწრაფად და იაფად ხარისხიანი, ანუ რიგიანი რომ ვერაფერი შეიქმნებოდა, იმ დევიზის ავტორებმაც ჩინებულად იცოდნენ, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად „ჭრიდნენ და კერავდნენ“.

აი, რა გვითხრა ბატონმა მალხაზ ჭიპაშვილმა:

**— სანატორიუმი ბოლოს 1990 წელს შევაკეთეთ. ახლა რა მდგომარეობაშიც არის, თქვენი თვალით მოიხილეთ. 140 საწოლი გვაქვს. 12-დღიანი საგზური სამჯერადი კვებით 360 ლარი ღირს. ძირითადად თბილისიდან ჩამოდიან. ბოლო ხანს დამსვენებელთა რიცხვმა მკვეთრად მოიკლო. მიზეზი მარტო მატერიალური სიდუხჭირე კი არა, შენობა-ნაგებობათა სავალალო მდგომარეობაც არის. ადრე ბიუჯეტში წელიწადში 15 ათასი ლარი შეგვქონდა. ახლა ესეც გვიძნელდება. გამოსავალი პრივატიზებაშია...**

როგორც გვითხრეს, ობიექტის საწყისი სატენდერო ფასი 750 ათასი დოლარი იქნება. ჰყავთ თუ არა მუშტარი? ამერიკელებიც ყოფილან და ყაზახებიც. მსურველები ქართველ ბიზნესმენთა შორისაც არიან, მაგრამ მათ ვინაობას ჯერჯერობით არ ამხელენ. „შევინახავთ“ თუ არა ობიექტს ადგილობრივი მყიდველისათვის? როგორც მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ბრძანებს, „გაიყიდება იმ პირზე, ვინც მეტს გადაიხდის. ამ პრინციპს ყველა ვითარებაში დავიცავთ“.

პანსიონატ „ცისარტყელას“ ორი კორპუსი აქვს. ერთი მათგანი რკინიგზის მაგისტრალის გადაღმაა და როგორც დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე ამბობს, ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის. ადრე აქ სეზონზე 100-120 კაცი ისვენებდა. შარშან მხოლოდ 70-ს უმასპინძლეს. **დურგალ ზაურ ცენტერაძეს თუ დავუჯერებთ, ობიექტი უეჭველად უნდა გაიყიდოს. „მაშინ სამუშაო გვექნება, ხელფასს დროზე დაგვირიგებენ, პანსიონატსაც მიხედავენ“.** ობიექტის საბალანსო ღირებულება 315 ათასი დოლარია. ორ მსურველს 250-260 ათასი შეუძლევია. „ასე იაფად ვერ გადავაგდებთ — საწყისი ფასი საბალანსოზე ორჯერ მეტი მაინც უნდა იყოს“, — ამბობს მინისტრი.

„ცისარტყელას“ მეორე კორპუსი მართლაც სამოთხეშია. სულ ნახევარი ჰექტარი უკავია, ზღვას გადაჰყურებს და უკეთეს სანახავს კაცის თვალი ვერ ინატრებს. გემოვნებით მოუწყვიათ, მაგრამ, როგორც პოეტი იტყვის, „ეს ყო წინათ, დიდი ხნის წინათ“. ახლა ნაგებობა ისეთ სავალალო დღეშია, ენა ვერ აღწერს. — **სეზონზე 286 კაცს ვიღებდით. ახლა 130 მარტო ლტოლვილი ცხოვრობს. არანაირი შემოსავალი აღარ არის, რომ წვრილ-წვრილი რემონტი მაინც ჩავატაროთ, სახურავი შევაკეთოთ. ცხადია, ობიექტი უნდა გაიყიდოს, — გვეუბნება დირექტორი რევაზ რომანაძე. ამ აზრს მინისტრიც ეთანხმება.**

გასაყიდად „განწირული“ ობიექტების ჩამონათვალი კიდევაც შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ აზრი არა აქვს: ყველა მათგანი თითქმის ერთ დღეშია და შეფასებათა გამეორება მოგვიხდება. ჟურნალისტები მაინც გაგვაოცა ჩაქვის სასტუმრო-სანატორიუმ „ოაზისის“ ბედმა. ეს კომპლექსი, რომელიც საცხოვრებელი კორპუსების გარდა სპორტულ მოედნებს, საცურაო აუზებს, კაფე-ბარებს, სკვერებსა და ფანჩატურებს აერთიანებს, ექსპლუატაციაში ამ 16 წლის წინათ გადაუციათ, შესანიშნავ მდგომარეობაშია. მაშ, რატომღა ასხვისებენ? **„ეს ობიექტი სახელმწიფოს საკუთრებაში რომ დარჩეს, ჩამოვლენ დიდ-დიდი ჩინოვნიკები, ისარგებლებენ ყველანაირი კომფორტით, ღირებულებას კი არ გადაგვიხდიან“,** — გვითხრა ერთმა თანამშრომელმა „საიდუმლოდ“. არა მგონია, ცრუობდეს. ასეთი ფაქტები სხვა დროსაც უამრავჯერ მომხდარა და რაღა დღეს ვიქნებით დაზღვეულები? მე, პირადად, ამაში უფრო მეტ საშიშროებას ვხედავ, ვიდრე ობიექტის გასხვისებაა. ვგონებ, სათანადო ორგანოებისგანაც ჯეროვან ყურადღებას საჭიროებს...

**ელგუჯა ლეჟავა,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**თბილისი-ბათუმი-თბილისი**

(დასასრული იქნება).

# ერთი ზომის ლოდებზე ნაცნობ გვარებს ვეძებდი

**ყველა საძმო საფლავის ქვაზე ჩვენებურების, მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში ჩაკარგულ თანასოფლელთა გვარს ვეძებდი, — მარტვილის რაიონის სოფელ ქვედა ხუნწუდან ფრონტზე წასული 20-22 წლის ჭაბუკების კვალს. ცოტანი არ იყვნენ, ხუთასზე მეტი, უკან ორასი არ დაბრუნებულა.**

მოუთმენლად მაქვს გადაკითხული წარწერები სტალინგრადის, ბრესტის, კურსკის, კიევის, ნოვგოროდის, როსტოვის, ვლადიკავკაზის, ტულის, ტუაფსეს, ქერჩის, ნოვოროსიისკის, სიმფეროპოლის, სევასტოპოლის, ოდესის, მინსკის, მოსკოვის ოლქის, პეტერბურგის საძმო საფლავებზე აღმართულ მარმარილოს სვეტებზე. ასე რომ, სადაც კი ხელი მიმიწვდა, იმედით შემოვიარე ბულგარეთი და უნგრეთი, რუმინეთი და იუგოსლავია, გერმანია, ყველგან მოვინახულე დიდ სამამულო ომში დაღუპულთა საფლავები. სკოლის მოსწავლეს მახსოვს როგორ გაუდგნენ ფრონტის გზას ჭაბუკები სიმღერით და დაპირებით — ფაშისტებს ბერლინამდე ვსდევთ და სულ მალე დაგიბრუნდებითო.

ბევრმა მათგანმა პირველი პირობა შეასრულა, მეორის შესრულება ვერ შეძლო. ვეღარ დაბრუნდნენ სოფელ ქვედა ხუნწიდან წასული ჭაბუკები: ილია მონიავა, დავით ფაილოძე, ტატო და სევერიან მოსიძეები, მურზა ჯიშკარიანი, გალაქტიონ სტვილია, აკაკი წირღვავა, მიტუშა ბორისოვი, ძმები გერა და ბართლომე ხუროძეები, შალვა რევია...

დავით ფაილოძის მოხუცი მამა სიკვდილამდე შინმოუსვლელის მიერ დარგულ ნერგებს შესციცინებდა... კურსკთან გამართულ ბრძოლის ქარცეცხლში ჩაკარგული შვილის დარდს ხაჭომიების ფერდობზე შეფენილ ვენახში ტრიალით იქარვებდა. იმ დღეების მოგონებით ცხოვრობდა, როდესაც მისი უფროსი ვაჟიშვილი თანასოფლელ ახალგაზრდებთან ერთად აქ მთვარის შუქზეც კი სავენახე მიწას აბრუნებდა. ის-ის იყო სავენახე მიწა გადააბრუნეს, ვაზი ჩაყარეს... ივნისში მტრის ტყვიამ ჩაჭრა მათი კეთილი ოცნება. სოფელს როგორ დაამახსოვრდა იმ დროის ახალგაზრდები? — სიცოცხლისა და ადამიანების, მშობლიური სოფლის, მისი ტყისა თუ ბაღ-ვენახის საოცრად მოყვარულნი.

ომამდე გადაღებულმა სურათებმა შემოინახა სტენდზე იმ ახალგაზრდების საოცარი ღიმილიც. სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა სტენდთან მუდამ ყვავილები ეწყო...

მოხუცი მამა ამ წუთისოფლიდან ისე წავიდა, სადღაც საძმო საფლავზე დაკრძალული შვილი ვერ დაიტირა. ვერც ცხენისწყლის პირას აღებული ერთი მუჭა მიწა მოაყარა მის საფლავზე. ასეთი მამა, დედა, და თუ ძმა და მახლობელი ბევრი იყო ქვედა ხუნწში, ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, დიდ სამამულო ომში ჩაკარგული ჭაბუკების ღიმილიანი სახე კი სტენდს შემორჩა... ასე დარჩა მოუშუშებელი, მტკივნეული და პირშეუკრავი თანასოფლელთა ჭრილობა. ამიტომაც ვეძებდი და დღემდე ვეძებ ყველა საძმო საფლავზე ჩვენებურების გვარებს.

იქნებ, აქ შევხვდე რომელიმეს გვარს, — ასეთი ფიქრებით მოვიარე რამდენიმე წლის წინათ ქალაქ ბელგრადის საძმო საფლავიც. სასაფლაოსთვის აქ საუკეთესო ადგილი შეურჩევიათ, ტყე-პარკად ქცეული, მუდამ ფრინველთა გალობით სავსე...

აქ მეომრები ყველგან იუგოსლაველ პარტიზანებთან ერთად არიან დასაფლავებული. მასპინძლები ამბობენ: ერთმანეთის გვერდით ვიბრძოდით, ერთად ვებრძოდით საერთო მტრებს — ფაშიზმს. ფაშისტების ტყვიით განგმირულებიც ერთმანეთის გვერდით ვეცემოდით...

საფლავის ქვებზე მოუთმენლად წავიკითხე რუსული, ქართული, აფხაზური, სომხური, უკრაინული, უზბეკური გვარები... მე კი ჩვენებურების გვარებს ვეძებდი.

კვლავ თავიდან დავყევი...

გვარები შეწყდა... ამაოდ ვეძებდი ერთი ზომის ლოდებზე ნაცნობ გვარებს. ასობით მეომრის საფლავის ქვაზე მხოლოდ სამსიტყვიანი წარწერა იკითხებოდა: „უცნობი საბჭოთა მეომარი“, ან კიდევ მათ პარტიზანულ შენაერთში ზედმეტი სახელით მონათლულის...

ასე როგორ? უსახელოდ? — ვჩურჩულებდი ჩემთვის.

სდუმდნენ თეთრი ლოდები...

— პარტიზანულ შენაერთებში ბევრს მხოლოდ შერქმეული სახელით ვიცნობდი, თითოეული მისი ხასიათის, სიმამაცის, თავდადების, ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის გამომხატველი იყო, — აგვიხსნეს მასპინძლებმა.

ვინ არის ამ ლოდის ქვეშ დამარხული ჭაბუკი?

— აჰა მიხაკი, დადე რომელიმე საფლავზე, ვისიც არ უნდა იყოს, ის შენი ძმის დათოსი და შენი თანასოფლელების ბედის მოზიარეა, — მიჩურჩულა ერთ-ერთმა ჩვენი ჯგუფიდან და მიხაკი მომაწოდა. ასე გაჩნდა სამსიტყვიან ლოდით დაფარულ საფლავზე ჩემი დადებული მიხაკი, ქვედა ხუნწიდან აღებული მიწაც იქ მოვაყარე.

ხეივანში ჩამწკრივებულ თეთრ ლოდებს გავხედე, ერთნაირი ფერის, ზომის, ერთნაირი წარწერების მქონენი ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული იყვნენ. ერთ-ერთ მათგანზე ჩემი წითელი მიხაკი იდო...

ახლა, ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ტრადიციისამებრ ქვედა ხუნწელები — დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივს მიაგებენ, შინმოუსვლელებს გაიხსენებენ, მათ მშობლებს მოიგონებენ, შესანდობარსაც დალევენ. სოფელი მართლაც რომ თბილია! გაიხსენებენ ჭაბუკებს, რომლებსაც სწამდათ ფაშიზმზე გაიმარჯვებდნენ და შინ მშვიდობით დაბრუნდებოდნენ, ეიმედებოდათ, მაგრამ ბევრი ვერ დაბრუნდა... ქვედა ხუნწელები იმ ვაჟკაცების შესანდობარს კვლავ დალევენ, დაწყევლიან ომს და მის მომგონს... ადღეგრძელებენ მშვიდობას.

**ნათელა ფაილოძე.**



## ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის სამხედრო ანსამბლი

**ანსამბლი ომის დაწყების წინ, 1940 წელს შეიქმნა. მან სიმღერითა და ცეკვით მოიარა სამხედრო ნაწილები, თოვლსა და ყინვაში ამხნევებდა საბჭოთა მებრძოლებს, მრავალგზის მოხვდა ომის ქარცეცხლში, ყირიმის მორიგი დაბომბვის დროს ფაშისტებმა ანსამბლის სამი წევრიც გამოასალმეს სიცოცხლეს...** 1943 წლის დეკემბერში, სტალინის ბრძანებით, თეირანის ისტორიულ კონფერენციაზეც კი მიიწვიეს. იქ ამერიკელი და ბრიტანელი დაცვის მუშაკებისთვის ორი კონცერტი გამართეს... ომის დამთავრების შემდეგ ანსამბლი არ დაშლილა და ათეული წლების განმავლობაში ატკბობდა მსმენელს სამხედრო-პატრიოტული სიმღერებით.

დრომ თავისი გაიტანა. დღეს ანსამბლის ორად ორი წევრია ცოცხალი — ვალოდია კიკნაძე და ნიკოლოზ ჯომიდავა.

90 წლის ნიკოლოზ ჯომიდავამ, ამ სურათებთან ერთად, ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის სამხედრო ანსამბლის სახელოვანი შემოქმედებითი გზის ამსახველი ვრცელი ნარკვევიც გვაახლა, მაგრამ გაზეთის ფართობის სიმცირის გამო, სამწუხაროდ, ვერ დავბეჭდეთ.

ბატონ ნიკოლოზს და ბატონ ვალოდიას გულწრფელად ვულოცავთ დიადი გამარჯვების 60 წლისთავს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**სოსო დონაძე.**



**სურათებზე: ფოტორელიკვია — სამხედრო ანსამბლი 40 წლის წინათ; ანსამბლის წევრი ნიკოლოზ ჯომიდავა.**

# სამეცნიერო კათედრიდან — სტალინგრადის ფრონტზე

**1942 წლის 22 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დავით გვრიტიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქსნის საერისთავო XVIII საუკუნეში“ და მაშინვე ითხოვა დიდი სამამულო ომის ფრონტზე წასვლა.**

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებს, მით უმეტეს სამეცნიერო ხარისხიანებს ჯავშანი ჰქონდათ, მას გული ფრონტისკენ მიუწევდა, სადაც მისი მეგობარ-კოლეგები შოთა მესხია, დავით ჯაბიძე, მამია დუმბაძე და სხვები ეგულებოდა. მას სინდისი აწუხებდა, რომ დისერტაციის დაცვის გამო ისედაც დაუგვიანდა ფრონტზე წასვლა. მეუღლეს გამოუცხადა: „როცა ჩემი სამშობლო განსაცდელშია, როცა ჩემი მეგობრები სისხლს ღვრიან, ჩემი ადგილი მათ გვერდით არისო“, და პირდაპირ სტალინგრადის ფრონტზე მოუწია მტერთან შეხვედრა.

— სტალინგრადის დამცველი! — ამ სახელზე უფრო საამაყო და საპატიო იმ დროს არაფერი იყო და მას ვერაფერს შეადარებდი. სწორედ დ. გვრიტიშვილს ხვდა პატივი ამ სახელის ტარებისა.

აი, რას გვიამბობს ბატონ დავით გვრიტიშვილის თანამებრძოლი გრიშა მაისურაძე:

— მახსოვს, დილის ხუთ საათზე პოლკის შტაბიდან რაკეტები აუშვეს. ეს შეტევის დაწყების ნიშანი იყო. ჩვენი ათეული სანგრებიდან ამოდიოდა და მიდამოსთან შეხამებით ხოხვით წინ მივიწევდით. უცებ შევნიშნეთ, რომ მტრის მეტყვიამფრქვევე ბექობს ამოფარებია და წინსვლის საშუალებას არ გვაძლევდა. დავით გვრიტიშვილმა თავის თავზე აიღო მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის განადგურება. ამოცანა მეტად რთული იყო, მაგრამ მისი შესრულება — აუცილებელი. გაბედულმა კომუნისტმა დავით გვრიტიშვილმა მოხერხებულად შემოუარა მტერს უკნიდან, რამდენიმე მეტრზე მივიდა ახლოს და ყუმბარა სტყორცნა. მტრის ტყვიამფრქვევმა სამუდამოდ ჩაკმინდა ხმა და ჩვენმა ათეულმა შეტევა განაგრძო.

ასეთი შემთხვევა კი არაერთი ყოფილა მის საბრძოლო ცხოვრებაში.

მტერთან ერთ-ერთი გააფთრებული ბრძოლის დროს 27 წლის კაპიტანი დავით გვრიტიშვილი მხარში მძიმედ დაიჭრა და ვეღარ შეძლო საბრძოლო მწყობრში ჩამდგარიყო. მისი წინააღმდეგობის მიუხედავად პოლკის შტაბის ხელმძღვანელობამ შინ გამოაგზავნა.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დავით გვრიტიშვილმა მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1944 წელს აქვეყნებს თავის პირველ და საქართველოს მასშტაბითაც პირველ წიგნს „ქართველი სტალინგრადელები“, რომელშიც უკვდავყოფს თავისი ფრონტელი თანამებრძოლების სამაგალითო გმირობას. ამ ნაშრომს დავით



გვრიტიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის შემოქმედებაში: „ეს წიგნი ჩემს ნაშრომთა შორის განსაკუთრებულია, იგი სისხლითაა დაწერილი“.

1953 წლის 13 იანვარს დავით გვრიტიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1956-1961 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის პროფესორი.

წლების მანძილზე მუშაობდა კპ თბილისის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ, არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატების თბილისის აღმასკომის დეპუტატად, დაჯილდოებული იყო მრავალი საბრძოლო მედლითა და ორდენით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ბატონმა დავით გვრიტიშვილმა მხოლოდ 53 წელიწადი იცოცხლა და რამდენი რამ მოასწრო... ამ დღეებში მას 90 წელი შეუსრულდებოდა...

**ვლადიმერ ზანგურაშვილი.**

# ერედველები და გიორგი ბერუაშვილი...

**ერედვი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ისტორიულად სამ სოფელს — ერედვს, ხეის (ხევის) უბანს ანუ ბერულას და არგვიცს აერთიანებს.**

დიდი სამამულო ომის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე სამივე სოფელი ერთ მუშტად შეიკრა. ყველაფერი ომის, ფრონტის ინტერესებს დაექვემდებარა. ტალიკ-ტალიკი ბიჭები სამშობლოს დასაცავად გაიწვიეს. მინდვრისა და ოჯახის სამუშაოების მთელი სიმძიმე ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს დააწვათ. ცხადია, მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი საქართველოს სოფლის მცხოვრებნი.

ერედველები არაფერს იშურებდნენ თავდაცვის ფონდისთვის. 1941 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „საბჭოთა ოსეთმა“ დაბეჭდა ინფორმაცია, რომ ერედველმა კოლმეურნეებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 25.000 ნაღდი ფული და 2200 მანეთის ობლიგაციები, კოლმეურნეობის საერთო ფონდიდან კი ერთი ხარი და 32 კილოგრამი ყველი. ბერულის კოლმეურნეობამ ქ. სტალინირში გახსნილ სამხედრო ჰოსპიტალს დახმარების სახით გადასცა ლობიო, ხახვი, ჭარხალი, კომბოსტო, ღვინო და ა. შ. მომდევნო წლის იანვარში იგივე ჰოსპიტალს იგივე კოლმეურნეობამ უსასყიდლოდ გადასცა ღვინო და ხორცი, 24 სექტემბრის დადგენილება მალე საქმედ იქცა: კოლმეურნეებს გაუნაწილდათ 16 კილოგრამი მატყლი და შრომადღეების დარიცხვის პირობით დაევალათ ფრონტელთათვის გასაგზავნად მოექსოვათ წინდები და ხელთათმანები.

როცა გერმანელი ფაშისტები კავკასიას მოადგნენ და მოსალოდნელი იყო მათი საქართველოში შემოჭრა, ერედველებმა სამხედრო სწავლებას, მანევრების მოწყობას მიჰყვეს ხელი. სწავლებას გადიოდანენ 16-50 წლის ასაკის მამაკაცები. მაშინ მე ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი და ბევრჯერ მინახავს ქსუისისკენ მიმავალი გზის გასწვრივ მინდვრებში მოწყობილი მანევრები. ხმის გამომცემი ხის „ავტომატებით“ შეიარაღებულნი, თუ როგორ მიიწევდნენ წინ „მოწინააღმდეგის“ განსადევნად და დასამარცხებლად.

დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა — ერედვიდან 181, ბერულიდან 140, არგვიციდან 54 კაცი. ბრძოლის ველზე დაიღუპა ან უკვალოდ დაიკარგა 72 ერედველი, 59 ბერულელი, 24 არგვიცელი. ნაჭრილობევი ან მტრის ტყვიას შემთხვევით ერედველთაგან ერთს, შალვა თაბოშვილს გერმანელთა ტყვეობაში მოუწია ყოფნა და ომის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

ჩემი თანასოფლელებიდან ერედვს შორს გაუთქვა სახელი გიორგი ბერუაშვილმა. ომის დაწყებამდე ის თბილისში წავიდა ხელობის შესასწავლად. იქ თავის მოგვარე იასონთან ცხოვრობდა. იასონის რჩევითა და დახმარებით თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სადურგლო საამქროში მოეწყო მოწაფედ. არ გასულა დიდი დრო, რომ იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ლენინგრადში მოხვდა. პირველი საბრძოლო ნათლობა თეთრფინელებთან ომში მიიღო, შემდეგ დემობილიზაციით მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე გიორგი ბერუაშვილი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მან უჩვეულო მამაცობა და თავგანწირვა გამოამჟღავნა უკრაინის მიწა-წყალზე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი დივიზიის სარდლობას. გიორგი ბერუაშვილის საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარდგინების ფურცელში ჩაუწერიათ: მან დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადაიტანა 20 ქვემეხი, 35 ნაღმსატყორცნი, 3 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 900 ყუთი საომარი მასალა, გადაიყვანა 1500 ჯარისკაცი და ოფიცერი, რითაც ხელი შეუწყო დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მეტად უმნიშვნელოვანესი პლაცდარმის დაკავებასა და შენარჩუნებას...

გიორგი ბერუაშვილი დაიღუპა მტრის ტანკიდან ნასროლი ნაღმის ნამსხვრევისგან 1944 წლის 14 იანვარს, უკრაინაში, სოფელ ბოსოვკის გათავისუფლებისთვის ბრძოლის დროს. ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ არც გაუგია, რომ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. მოხდა ისე, რომ მისი გმირად გამოცხადების ამბავი 1966 წლამდე ბურუსით იყო მოცული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 10 იანვრის ბრძანებულებაში ეწერა არა „ბერუაშვილი“, არამედ „ბერდაშვილი“. ასეთი გაუგებრობა დივიზიის სარდლობის წარდგინებიდან მოდიოდა.

საბჭოთა კავშირის გმირის პიროვნების დადგენაში დიდი შრომა გასწია ლისიანის რაიონის (ჩერკასის ოლქი, უკრაინის სსრ) ბოსოვკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ იური პავლეს ძე კულინიჩმა. მან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოუგზავნა წერილი, სადაც ეწერა: „გთხოვთ გვაცნობოთ, სად ცხოვრობს საბჭოთა კავშირის გმირის გიორგი ივანეს ძე ბერდაშვილის დედა. ეს ვაჟკაცი 1944 წლის იანვარში მამაცური სიკვდილით დაეცა გერმანელი ოკუპანტებისაგან ჩვენი სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ მისი ფოტოსურათიც“. ეს წერილი გადაეგზავნა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს და, ბოლოსდაბოლოს, სიმართლე გაირკვა.

ერედვის საამაყო შვილზე გიორგი ბერუაშვილზე დამატებითი ცნობების შეგროვების წადილმა წინა საუკუნის 70-იან წლებში უკრაინაში, სოფელ ბოსოვკაში, მიმიყვანა. ვნახე საძმო საფლავი, სადაც ერედველი გმირი განისვენებს. ამ საფლავში 1223 მეომარია. ამათგან, მხოლოდ 289 დაღუპულის ვინაობა ყოფილა დადგენილი. საძმო საფლავზე აგებულია დიდი ძეგლი — თავდახრილ მეომარს ცალ ხელში საბრძოლო დროშა უკავია, მეორეში — მუზარადი. ერედველი გმირის სახელობისაა ბოსოვკის კულტურის სახლში მოწყობილი საბრძოლო დიდების კუთხე და საძმო საფლავის სიახლოვეს არსებული კულტურისა და დასვენების პარკი.

რაც შეეხება ერედვს, აქ, საშუალო სკოლის ეზოში, კვარცხლბეკზე დადგმულია სოფლის სახელოვანი შვილის ბიუსტი.

**ვახტანგ ცოტნიაშვილი.**

**ერედვი — თბილისი.**

# მახაჭაშვილების ომი და მშვიდობა

**ამ ფოტოზე დაბა სურამის ახალგაზრდების ერთი ჯგუფია გადაღებული. ფოტოზე წარწერაა: „სურამელი ახალგაზრდების საზეიმო გაცილება ომში“.**

სად მიდიან ახალგაზრდები, საით მიჰყავს სოფლის ჩვეულებრივ გზას თავისი ახლადწვერულვაშაღერებული შვილები?

ასჩვიდმეტი დღეა ომის ხანძარი მძვინვარებს, ფეხზე დგას საბჭოეთი, მტერთან საბრძოლველად შეერთებულა ერი და ბერი. ომის დაწყებიდან ჯერ მხოლოდ 117 დღე გავიდა, ბარე 1300 დღე — მიწა რომ იწვის და ცას რომ უკიდია ისეთი, ჯერ კიდევ წინაა. ბევრ განსაცდელს ნახავს ქვეყანა, მაგრამ გამარჯვება მაინც მოვა — სისხლით, ოფლით, მილიონთა სიკვდილის საზღაურად. ომი დაიწყო და რადიოთი ი. ბ. სტალინი გამოვიდა, ჩამოაყალიბა ფაშიზმზე გამარჯვების ტაქტიკა და სტრატეგია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ჩვენს ქუჩაზეც მოვა დღესასწაული, სწორედ რომ ასე თქვა. ბელადი სიტყვას ქარს არ გაატანს, ეს იცის ხალხმა და მის დაძახილზე ლეგიონები მიდიან ფრონტზე.

სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში ბუღალტრად დაიწყო მუშაობა, მომდევნო — დიმიტრი ინჟინრობას ეპირებოდა, მიხეილი ახალი დაბრუნებული იყო ფინეთის ფრონტიდან. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცის დასტურად მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი უბრწყინავდა. უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სურდა სწავლის გაგრძელება. უმცროსმა გიორგიმ იმ გაზაფხულზე დაამთავრა სკოლა და მასაც სტუდენტობა ეწადა. მაგრამ ყველაფერი აირია, ძმების მიზნები და ოცნებები ერთიანად დაიმსხვრა და მერე რაღა გაამთელებდა მას — დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ფაშისტურ გერმანიასთან.

ომის დაწყებიდან მეორე დღეს — 23 ივნისს, მახაჭაშვილების ოჯახიდან კონსტანტინე და მისი სამი ვაჟი ზაქარია, დიმიტრი და მიხეილი გავიდნენ, დაემშვიდობნენ თავისიანებს, მეზობლებს, ახლობლებს. შორიახლოს სამი სატვირთო მანქანა იდგა და ძარა ფრონტზე მიმავალი სოფლელებით ივსებოდა...

ლენინაკანამდე ერთად იმგზავრეს მახაჭაშვილებმა, აქ კი მათი გზები მძიმედ დაიჭრა, კონტუზია მიიღო და როგორც ინვალიდი, შინ გამოუშვეს.

ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ — არაფერი ისმოდა მამა-შვილი კონსტანტინესა და მიხეილისაგან, ან ვინ მოსძებნიდა მათ — ფრონტის ხაზი ხომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული. სურამში, მახაჭაშვილების ოჯახში მისულმა დეპეშამ გულგრილად ჩამოწერა მიხეილის ფრონტული ბიოგრაფია — უზგო-უკვლოდ დაიკარგაო...

იმ ფოტოზე, თქვენ რომ უყურებთ, 17 წლის გიორგი მახაჭაშვილია აღბეჭდილი. მახაჭაშვილების მეოთხე ძმა და ოჯახში მეხუთე მამაკაცი, დღეს, 1941 წლის 17 ოქტომბერს ფრონტზე მიდის. დედას, ოლღა ნოზაძეს თუ დაემშვიდობება, თორემ სახლში აღარავინ დარჩა. ყველანი ფრონტზე წავიდნენ. წასვლის წინ სიმწიფის ატესტატი დედას სასოებით ჩააბარა: შეინახე, დავბრუნდები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ვისწავლოო.

გიორგი ლენინაკანში ჩაიყვანეს, იქ უმცროს მეთაურთა სამთვიანი კურსები დაამთავრა და მოქმედ არმიაში გააგზავნეს.



პირველი გაწვევა სურამში ომის დაწყების მეორე დღესვე, 23 ივნისს გამოაცხადეს. ეს კი ახალი გაწვევაა — დღეს 1941 წლის 17 ოქტომბერია (თარიღი ფოტოზე წარწერამ შემოგვინახა).

* * *

— რომელი კონსტანტინე, დურგალი?

ასე იცნობდნენ კონსტანტინე მახაჭაშვილს სურამშიც, ხაშურშიც, ლიხს გაღმაც და გამოღმაც. იშვიათი ოსტატი გახლდათ. მთელი ცხოვრება შიმშა, თარაზო და შალაშინი ეჭირა ხელთ, აშენებდა სახლებს, სკოლებს, კანტორებს, მეცხოველეობის ფერმებს. ღარიბული არ ეთქმოდა კონსტანტინე მახაჭაშვილის ეზო-კარს — ოთხი ვაჟკაცი იზრდებოდა ოჯახში. ვაჟიშვილების ცხოვრებისეული გზები უკვე გამოკვეთილი იყო. უფროსმა შვილმა, ზაქარიამ, გაიყარა, ომის ქარცეცხლმა ვინ საით გადაისროლა, ვინ — საით. ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ. ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ ზაქარიამ, ამ ჩუმმა და მორიდებულმა ბუღალტერმა ქერჩში, გაგანია ბრძოლებში ამოყო თავი. ზაქარიას ბატალიონი, ისედაც სისხლისგან რომ იწრიტებოდა, ტყვედ ჩავარდა. ომის დამთავრებამდე ტყვეთა ბანაკში იყო, ჯანგატეხილი და დაუძლურებული სხეული ძლივს მოიტანა სახლამდე და დიდხანს აღარ უცოცხლია.

ტყვეობას ვერც დიმიტრი მახაჭაშვილი გადაურჩა, მაგრამ რუმინეთში რომ მიჰყავდათ, გზიდან გამოიქცა, რის წვალებით თავისიანები მოძებნა და მათთან ერთად ბრძოლებით გაიარა უკრაინა და ბელორუსია, იბრძოდა უნგრეთშიც, ბუდაპეშტის განთავისუფლების დროს კი (ზედ პარლამენტის შენობის კიბეებზე!)

...გიორგი მახაჭაშვილის ეშელონი სოხუმში რომ შევიდა, ეჭვი არავის შეპარვია — კავკასიის ფრონტზე უნდა ეომათ. 1942 წლის შემოდგომაზე 61-ე დივიზიის 307-ე მსროლელი პოლკი ბზიფის ხეობიდან სანჩარის უღელტეხილს მიადგა. მომდევნო დღეებში აქ დიდი ბრძოლები გაიმართა. ჩვენმა მებრძოლებმა მომხვდურები კავკასიონის ქედის იქით გადაკარგეს და პატარა აფხაზურ სოფელ ფსხუში შევიდნენ. სოფლის რუსმა მოსახლეობამ ჩვენების შესვლა საზეიმოდ აღნიშნა: კარტოფილი, პური, არაყი ფრონტზე რა არის კიდევ საჭირო, რომ მეფური სუფრა ერქვას?

შეტევა უღელტეხილზე გრძელდებოდა და პოლკმაც რამდენიმე კილომეტრით წინ წაიწია.

— ერთ დღეს, — მიამბობს ომის ვეტერანი გიორგი მახაჭაშვილი, — ჩვენი ჯარისკაცი ზუგდიდელი აშვეთია და კიდევ სხვები ფსხუში პროდუქტების ამოსატანად ჩავაგზავნე. ისინი მესამე თუ მეოთხე დღეს დაბრუნდნენ, მაგრამ უღელტეხილზე აღარავინ დახვდათ. იმათი წასვლა იყო და ქარბუქმა, რომელიც მთელი ამ დღეების მანძილზე უღელტეხილზე მძვინვარებდა, მთის უზარმაზარი თოვლის მასა მოწყვიტა, გრიალით ძირს წამოიღო და ყველანი თოვლში დაგვმარხა. აშვეთია, თურმე, საგონებელში ჩავარდა: თუ ჩვენები გერმანელებმა დახოცეს, გვამებს რაღად წაიღებდნენო, ფიქრობდა. არადა თოვლის ამ უდაბნოში ძე ხორციელის ჭაჭანება არ იყო. ბედად, ერთი ჩვენი ჯარისკაცი, რომელიც მსუბუქად, ზედაპირულად იყო „დამარხული“, თოვლის ტყვეობიდან გამოღწევას ცდილობდა. ჩვენებმა საბრძოლო ნიჩბებით თოვლის „სამარე“ გათხარეს და ჯარისკაცი სამშვიდობოს ამოიყვანეს. შემდეგ მეორე, მესამე, მეათე... მე ყველაზე ბოლოს მომაგნეს. „კაპიტალურად“ ვიყავი ჩამარხული. უგონოდ ვეგდე. ფეხები გამყინვოდა. დახეული ფეხსაკრავები, რუსები რომ „პარტიანკებს“ ეძახიან, რა ყინვას დაიჭერდა! ბრეზენტზე დამაწვინეს და ფსხუში წამიყვანეს. იქიდან სოხუმის საზღვაო ჰოსპიტალში გადამიყვანეს. ორივე ფეხის ამპუტაცია — ასეთი იყო ექიმების დიაგნოზი. ცოცხალი თავით არ დავთანხმდი, — იგონებს გიორგი მახაჭაშვილი, — იქიდან კიროვოკანის, შემდეგ — ლენინაკანის, ბოლოს კი სურამის საავადმყოფოში აღმოვჩნდი...

ოცი წლის ასაკში მხოლოდ იწყებენ ცხოვრებას, ოცი წლის ათასჭირვარამგადანახადი გიორგი მახაჭაშვილი კი ომიდან შინ ინვალიდი დაბრუნდა. ბევრი ებრძოლა ავადმყოფობას და თანდათანობით დაჯაბნა კიდეც, ფეხზე დადგა, მოიკეთა, თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანაში მივიდა სამუშაოდ, იქიდან კი — ვაკე, თეთრი გედივით ყელმოღერებული, საოცნებო შენობა, რომელსაც უნივერსიტეტი ჰქვია...

მას შემდეგ, აგერ, 60 წელი გასულა. მთელი თავისი ცხოვრება გიორგი მახაჭაშვილმა სკოლას, სახალხო განათლების საქმეს დაუკავშირა. მასწავლებლობდა, იყო სკოლის დირექტორი, დღეს სახალხო განათლების წარჩინებული, პენსიაზეა, მაგრამ სახლში რა გააჩერებს. ამ დღეებში მას ხშირად ხედავენ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი ახლოვდება და ომის ვეტერანებსაც ბევრი აქვთ მოსაგონარი სკოლიდან მოსულ მოსწავლეებთან, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ ომის ამსახველ სტენდებს.

იტრიელმა მეოთხეკლასელმა ლადო ტეფნაძემ იცის, რომ მისი დიდი პაპა, ლადო ტეფნაძე, სწორედ იმ ომში იყო და მტერს ებრძოდა.

აი, რას ამბობს სხვა ფრონტელის, ალექსანდრე გელაშვილის შვილთაშვილი ნინო გელაშვილი:

— დიდი ხნის წინ ბოროტმა ძალამ — ფაშიზმმა ევროპის ხალხების დამონება განიზრახა და სისხლიანი ომი წამოიწყო. მაგრამ ბოლოს მაინც სიკეთემ და სიმართლემ გაიმარჯვა, ანუ როგორც რუსთაველი ამბობს — „ბოროტსა სძლია კეთილმან...“

**გურამ ვაშაკიძე.**

## ფიქრები

თავი წაეკრათ აბოლებულ კვამლიან ბლინდით
აჭიხვინებულ შეშლილ ცხენებს, დასრესილ კაცებს.
განწირულებმა გრილ ჭალებში კარვები დასცეს:
— კარგნი იყავით აქ, მხედრებო და იქაც ცხონდით!
და როგორც ფარდა, გადაიხსნა ქვემოდან ფრონტი,
ჩამობურული ჩამოუშვა ნემანთან კალთა.
აღარაფერზე ჰაქრობას მე აღარ ვმართავ,
მაგრამ ოცოდე, იმ წუთებში შენ მომაგონდი,
მამის ეზოში, ქვის ყორესთან, ჯაგ-მდელოს ახლოს,
გულდასაჭეჭკად დარჩენილო გამზრდელო სახლო!
კიდევ რა ხდება, ბედის წიგნში სხვა რა წერია,
იქნებ ამაოდ არ ელიან სასწაულს მმები.
...ხმაურის შემდეგ სიჩუმეა აქ გაუძლები
და სიჩუმესთან ის ხმაური არაფერია...



## მოხუცებულ ხარ

დაგინახე და თვალი როგორღაც
სინანულით და ცრემლით ამევსო.
მოხუცებულხარ, ჩემო გოგონავ,
ჩემი ბავშვობის თბილო ალერსო.
წუთისოფლის და ამაოების
შენც შეგხებია ხელი მსახვრალი.
შენც დაგჭკნობია მწვანე რტოები,
შესაბრალისად დასანახავი.
არა, მვირფასო, ეს შენ არა ხართ,
სხვა მოჰყოლია ზამთარს ამინდი.
მე მომესაჯა შენი დანახვა
და დასჯილი ვარ, ალბათ, ამითი.
დაგინახე და თვალი როგორღაც
სინანულით და ცრემლით ამევსო.
მოხუცებულხარ, ჩემო გოგონავ,
ჩემი ბავშვობის თბილო ალერსო.

ვასილ გვეტაძე.

# „მეცხრე ფორტის“ ჯურღმულებში

**კაუნასი. "მე-9 ფორტი"... კადრები კინოფილმიდან – "გაქცევა"! მუზეუმის კინოდარბაზში შესასვლელი ბილეთები არ იყიდება. მხოლოდ მორიგე ქალი აჩქარებს მნახველებს. ექსკურსანტების რიგი დგება კარებთან. დარბაზი ხალხით ივსება. სიჩუმეა. ორიოდ წუთში კინოსაპროექციო აპარატი მუშაობას იწყებს. ეკრანზე ვხედავთ ადამიანს, რომელსაც ზურგი შეუქცევია მაყურებლისთვის. ისმის ლითონის ხრჭიალი. ბნელა. ადამიანს წამოდგომა არ შეუძლია. ვიწროა სამუშაო ადგილი. შემდეგ, მოჩანს ადამიანის ოფლიანი სახე. ის შემობრუნდა...**

### გაიქცა 64 სიკვდილმისჯილი

...რკინის ბურღი დღეების განმავლობაში ჭრის ლითონს. ზეინკალი კრაკინოვსკისი დღე და ღამე ებრძვის სიმაგრეს. ასრულებს იატაკქვეშელთა ორგანიზაციის დავალებას. საკნებში მეგობრები მოთმინებით მოელიან დროს... თუ ამას „მოთმინებით ლოდინი“ ჰქვია. ჩვეულებრივ გადიან „გასეირნებაზე“. ფაშისტებს ვიღაცა აკლიათ თვალში, მაგრამ ვერ ხვდებიან. ყველაფერი ზუსტადაა გაანგარიშებული.

ციხის ირგვლივ ეკლიანი მავთულხლართებია. მასში მაღალი ძაბვის დენი გადის. მანამდე სქელი რკინაბეტონია და ათწყებად ჩამდგარი ყარაული... ყოველდღე მოდიან მანქანები, — ადამიანებით სავსე. მძღოლებს საგზურებში უწერიათ: „დაწესებულება № 1005 „ბ“. ივსება „მე-9 ფორტის“ ჯურღმულები. სად ეტევა ამდენი? რკინის საჭრელი მუშაობს დღედაღამ. ოფლად იღვრება კრაკინოვსკისი. ერთი წუთითაც არ ანებებს თავს სამუშაოს. მეგობრები ელოდებიან. სინესტეა ოთახებში. გაზის კამერები მუშაობენ და მუშაობენ...

სადღაც შორს ისმის ყუმბარების გრიალი. თვითმფრინავები დაჰქრიან ცაზე. ტყვეები ვერ ხედავენ მათ, რადგანაც ცის მაგივრად მიწა დაჰყურებთ. კვამლისა და სისხლის სუნითაა ჰაერი გაჟღენთილი. კედელზე ვიღაცას ფრანგულად წაუწერია სახელი და გვარი. ვიღაც ჰოლანდიელიცაა, ჩეხიც, რუსიც, ლიტველიც, ლატვიელიც...

...თოვს. 1943 წლის 25 დეკემბრის ღამეა. გერმანელები ზეიმობენ შობას. ღრეობაა „მე-9 ფორტში“. დარაჯები არყით გალეშილან. ავტომატების ხმა ამჟამად მხიარულებას ნიშნავს. ეზოში ცამდე ვარდება კოცონის ალი...

...შეშის საწყობის გვერდით მძიმედ გადატყდა ლითონი. რკინის კარებმა მნიშვნელობა დაკარგა, ის დამარცხებულია. კრასინოვსკისი ღიმილით იწმენდს ოფლს. მეგობრები მზად არიან. ტყვეები თითო-თითოდ გადიან. ეზოში ფაშისტები კვლავ ღრეობენ. საიდუმლო კარებიდან კი სიცოცხლისკენ გარბიან ადამიანები. წინ კედელია, მაღალი და სქელი. თავისუფლების წყურვილს მაინც ვერ დააკავებს ვერაფერი... შემდეგ, მავთულხლართები! ისიც... შემდეგ, ტყე და თავისუფლება!

და მოხდა ჯერ არგაგონილი სასწაული, — სიკვდილს გაექცა 64 სიკვდილმისჯილი.

### ბრძანება

25 დეკემბრის მხიარული ღამე ცუდად გათენდა... დააგვიანდათ! ფაშისტებს ცარიელი საკნები დაუხვდათ. არ დაიჯერეს, ხუმრობააო ან, — მოჩვენება! მათდა სამწუხაროდ, სიმართლე იყო. გამოჭრილ კარებს ქარი უტევდა. გვირაბი ხმაურობდა და თავისებურ საგმირო მუსიკას უკრავდა. არ თოვდა უკვე. წუხანდელზე კი 64-ის ნაკვალევი გარკვევით ჩანდა. ძონძებისგან სახელდახელოდ შეკრულ კიბეს ქარი არხევდა ბეტონის სქელ კედელთან. მაღალი ძაბვის დენი არ გადიოდა მავთულხლართებში. მას იქით, პატარა ჯოხზე ფარატინა ქაღალდი იყო შემოხვეული.

ქაღალდზე ეწერა — „სიკვდილი ჯალათებს!“ 64 კაცის ნატერფალი ტყეში შედიოდა. ჰიტლერელებმა ვერ შებედეს იქ...

„მე-9 ფორტი“ საგანგაშო სირენების ხმამ შეარყია. ტყვედ დარჩენილებს იმედმა გაუელვათ, მაგრამ... იმ დღეს „სასეირნოდაც“ კი არ გაუყვანიათ ისინი. უფრო გააძლიერეს დაცვა. თურმე სიკვდილიდანაც შეუძლიათ ადამიანებს თავის დაღწევა. ამას როგორ დაიჯერებდნენ სიკვდილის მოციქულები?! და რახან ასე იყო, მთლიანად აიხსნეს ალვირი... თვითონ ძრწოდნენ შიშით ფაშისტები. იცოდნენ, დღეიდან მათი ბინძური ამბები მსოფლიოს მოედებოდა! იცოდნენ, განკითხვის ჟამს ის 64 გმირი ბრალმდებლად დაუდგებოდათ! იცოდნენ, სისხლს სისხლის წილ აზღვევინებდნენ! და როცა წარმოიდგენდნენ, თუ როგორ აიყვანდნენ სახრჩობელაზე მათ, ადამიანთა მკვლელებს, კაციჭამიებს, გული ბოროტებით ევსებოდათ და მზად იყვნენ დაელიათ სისხლი მთელი კაცობრიობისა, ოღონდ თვითონ არ დაშავებოდათ რა!

...28 დეკემბერს ჰიტლერელთა პოლიციის უფროსის ბრძანება ასეთი იყო: — „რადაც არ უნდა დაჯდეს, დააკავეთ გაქცეულები!“

### ...და მათ აცნობეს მსოფლიოს

ტყე იყო ჩუმი და სასტიკი. ბრძანებამაც ვერ შებედა იქ. ნატყვიარ ხეებს ყოფნიდათ სიმტკიცე დაეფარათ გმირები. ტყვედყოფილებს უნდა ეამბნათ კაცობრიობისთვის თუ რას „ფიქრობდა“ ადამიანებზე ფიურერი. და მათ აცნობეს კიდევაც მსოფლიოს ეს!

...ჰიტლერელებმა ბავშვების დახვრეტა აკრძალეს. მათ სპეცმანქანებში ჰყრიდნენ. შემდეგ, დასავლეთისკენ მიჰყავდათ. იქ კი უნდა აღეზარდათ ფაშისტებად, რათა მსოფლიოსთვის შემოესიათ. გერმანელები ნადირობდნენ მათზე. ეძებდნენ ქუჩებში, ეძებდნენ სახლებში, კარადებში, საწოლქვეშ... დედებს მკერდიდან ართმევდნენ. მშობლებს საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ. მხოლოდ კაუნასის „მე-9 ფორტმა“ 80 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ადამიანებს ტყავს აძრობდნენ. ხელთათმანებს ამზადებდნენ მისგან. „მე-9 ფორტში“ სიკვდილის კონვეიერი მუშაობდა. 14-მდე 200-მეტრიანი აკლდამა ტიტველი გვამებით ივსებოდა. ტანისამოსი ჯალათებს მიჰქონდათ ცოლშვილისთვის. ფაშისტები ხალისით ხვრეტდნენ ადამიანებს. პრანაუს მატიუკასმა, ამ ყველაზე მძვინვარე ჯალათმა, იმით გაითქვა სახელი, რომ პისტოლეტით უყვარდა ადამიანების მოსპობა.

...ელვისებური ომი ჩაეფუშა მტერს და უკვე უკან დაადგა გზას. ყოველი მათი ნაბიჯი დანაშაული იყო. უნდა მოესპოთ ის. იცოდნენ, კაცობრიობა გაასამართლებდა. „მე-9 ფორტის“ აკლდამები სავსე იყო უდანაშაულო გვამებით.

— დაიწვას! — გაიცა ბრძანება. მოზიდეს შეშა, მოზიდეს ნავთი, ბენზინი და... ადამიანთა გვამები. ისინი ცუდად იწვოდნენ. ძვლები რჩებოდა. სუნი მოედო გადამწვარ ველებს. ყორნებმა ღრეობა შექმნეს. ციხის ადმინისტრაცია აჩქარებდა „ოპერაციას“, მაგრამ ამაოდ, დანაშაულზე წაასწრეს. „სიკვდილის ფაბრიკას“ სახურავი აეხადა! მის ძველ საშინელებათა ისტორიას უფრო საშინელი ფურცლები ჩაემატა.

„ფაბრიკის“ მოკლე ისტორია ასეთი იყო: — 1887 წელს, მარტო ლიტვაში, 12 ასეთი ფორტის აშენების გეგმა დასახა მეფის მთავრობამ. აშენდა ცხრა. მეცხრე ყველაზე მკაცრი იყო. აქ ითქვა „ტექნიკის ახალი“ სიტყვა — გაზის კამერები. შემდეგ გერმანელთა ბატონობა, გვიან ბურჟუაზიული ლიტვა... იღუპებოდა ათასობით პატრიოტი. ყოველივე პროგრესულის მტერი იყო „მე-9 ფორტი“ მუდამ. დაბოლოს, დიდი მეორე მსოფლიო ომი... ფაშისტები! მათ გადაამეტეს ყველა წინამორბედთ. ფორტის „გერბს“, რკინის კარებსა და სახრჩობელას კიდევ ერთი ნიშანი მიამატეს — ცეცხლი! რათა გადაებუგათ მსოფლიო.

მსოფლიომ კი სახრჩობელა მიუსაჯა ჯალათებს! ბრალმდებლად მათ მიერ სიკვდილმისჯილი ადამიანები იყვნენ.

* * *

...კაუნასიდან ჩრდილო-დასავლეთით მიმავალ ჟემაიტისის გზაზე განუწყვეტელი მოძრაობაა. მანქანები დღე და ღამე მიდი-მოდიან. დადიან ტურისტები. ტყეები ითვლიან ახლად ამოსულ ნერგებს, — ახალ სიცოცხლეს. ადამიანები შრომობენ, ცხოვრობენ და... იღიმებიან კიდეც.

...„მე-9 ფორტის“ რუხი სახურავი მიწიდან ოდნავ ამოზიდულა. მის ირგვლივ ახალი, ლამაზი დაბაა — სარგენაი, ლამაზი ქუჩებითა და შრომისმოყვარე ხალხით. სარგენაის თავზე კი მტრედები დაფრინავენ, მშვიდობის მტრედები... ხოლო ადამიანები, რომლებმაც სიკვდილზე გაიმარჯვეს, მოუწოდებენ მსოფლიოს: — გახსოვდეთ ბოროტება! ვერავინ შეძლოს მისი გამეორება...

**ზაურ ფიფია,**
**„სრ.“ სპეც. კორ.**
**თბილისი-კაუნასი-თბილისი.**

# შალვა ხელიძის არდავიწყება

**უყვარდა სილამაზე, მშვენიერება, მუსიკა, ოჯახი, მეგობრები და სამშობლო — სულზე უტკბესი.**

სწრაფად გაირბინა უდარდელმა ბავშვობამ, სკოლაში გატარებულმა დაუვიწყარმა დღეებმა და სანუკვარმა სტუდენტობამ. 1941 წლის 25 ივნისს ჰიდრომშენებლის ინჟინრის დიპლომით გაახარა მშობლები, მაგრამ ვაი, რომ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. 11 ივლისს შალვა ხელიძე წითელ არმიაში გაიწვიეს. პირველად მოსკოვის მისადგომებთან იდგა მისი ნაწილი, საიდანაც იმედით სავსე წერილებს იღებდა ოჯახი.

„ძვირფასო დედა!

ძალიან მენატრებით ყველანი, მე კარგად ვარ, გააფთრებული მტერი დედაქალაქს ემუქრება, მაგრამ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ მას. ჩვენ გავიმარჯვებთ, ასე ფიქრობს ყველა ჩემი თანაპოლკელი.

გაკოცებთ, თქვენი შალვა. 1941 წლის 10 სექტემბერი“.



მალე შალვას აგზავნიან ფრუნზეში, სამხედრო საქმის სრულყოფილად დასაუფლებლად, ხოლო 6 თვის შემდეგ ისევ მოსკოვში აბრუნებენ. აქ იგი ჩაირიცხა სატანკო ნაწილში, რომელიც შეუპოვრად იცავდა ქალაქს.

შალვას უყვარდა პოლკელი თანამებრძოლები. თავადაც სიყვარულით, დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

თანაპოლკელთა მეგობრობის ნათელი მაგალითია ეს ერთი ეპიზოდი:

1942 წელს თბილისში მივლინებით გამოაგზავნეს ერთი მისი თანამებრძოლი, შალვამ მშობლებთან წერილი გამოატანა... შვილივით მიიღეს უცხო სტუმარი, სამი თვის განმავლობაში სითბო და ყურადღება არ მოჰკლებია მათი შვილის უკრაინელ მეგობარს.

1942 წლის დასაწყისში უკვე ლენინგრადის მისადგომებთან იბრძოდა, შემდეგ, ვოლხოვის ფრონტზე. ერთ-ერთი დავალების შესრულების შემდეგ, როცა ნაწილში ბრუნდებოდა, ნაღმი აფეთქდა. რამდენიმე მებრძოლი უსულოდ დაეცა ბრძოლის ველზე. შალვა მძიმედ დაიჭრა თავში და საველე ჰოსპიტალში მოათავსეს. პოლკის მებრძოლები წინ მიიწევდნენ ისე, რომ ვერ შეიტყვეს, თუ რა ბედი ეწია მათ მეთაურს, წერილებს წერდნენ. შალვას მშობლებს სთხოვდნენ, ეცნობებინათ მათთვის მისი ადგილსამყოფელი. მშობლებმა კი ისიც არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა მათი საველე ჰოსპიტალი. ვინ იცის, იქნებ მაშინ აღარც კი იყო შალვა ცოცხალი.

დამთავრდა ომი, ომგადახდილი მებრძოლები კერას უბრუნდებოდნენ. ხელიძეების ოჯახში კი მოლოდინის დაუმთავრებელი დღეები იდგა. ელოდა ცრემლგამშრალი დედა, მამა კი მიხვდა, რომ მის შვილს უკან დაბრუნება აღარ ეწერა... და იგი გრძელ გზას დაადგა, რომელსაც მისი შვილის სამუდამო განსასვენებელთან უნდა მიეყვანა. ეძებდა მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლხოვის ნაფრონტალზე... ამბობენ, იპოვნა კიდეცო ძმათა სასაფლაოზე, მაგრამ შინ მობრუნებულს არავისთვის გაუმხელია, რათა დედისთვის შვილის დაბრუნების იმედი საბოლოოდ არ ჩაეკლა...

საბრძოლო დავალების შესრულების დროს გმირულად დაეცა შალვა ხელიძე, დიდი მომავლის მქონე სპეციალისტი, კეთილშობილი და სათნო პიროვნება, მას არ დასცალდა დამტკბარიყო ახალგაზრდული წლებით, ცხოვრებით, ოჯახის სიყვარულით, მაგრამ სიცოცხლის საფასურად მიიღო სიყვარული და სამარადისო ხსოვნა.

გავიდა წლები, ომისგან მიყენებული ჭრილობები თანდათან უშუშდებოდა განაწამებ ხალხს. მხოლოდ დედებს, შინმოუსვლელთა დედების გულებს, შვილთა ხატება უკურნებელ, ღია ჭრილობად დარჩათ სამარის კარამდე.

**ქეთევან ხელიძე.**

## ◉ მოთხრობა

# რომან ამირეჯიბი

# გოგიას ქვა

**ორთქლმავალმა დაბურულ ტყეს თავი დააღწია, უკან გამობმული ვაგონები ნაკარიერალზე ახლადდაგებულ ლიანდაგზე გადაატარა და ზღვის სანაპიროზე გაშალა.**

— დედიკო, დედა, ზღვაში იძირება მზე! — შესძახა ვაგონის კუპედან ფანჯარაში გადაყუდებულმა ბაფთიანმა გოგონამ წიგნის კითხვაში გართულ ოცდაათიოდე წლის შავგვრემან ქალს.

დედა-შვილის გარდა კუპეში მყოფ ორ ჯარისკაცს, რომლებიც ალბომს ათვალიერებდნენ, ბავშვის შეძახილზე გაეღიმა.

ორთქლმავალმა თავისი შემადგენლობა რომელიღაც ზღვისპირა დაბაში შეიყვანა.

— აუჰ!.. რა „გაზიკია“, შენი ჭირიმე! — ირონიულად წამოიძახა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა და ალბომში ჩაკრულ ფოტოსურათს, რომელზეც ძველისძველ, კაბინაჩაბნელებული „გაზიკის“ ფონზე ათი-თორმეტი წლის გოგო-ბიჭების პატარა ჯგუფი იყო გამოსახული, ყურადღებით დააკვირდა.

— ეგ გოგიას „გაზიკია!“ — თქვა მეორე ჯარისკაცმა.

— რაო, გოგიასი?! — გაიკვირვა ისევ პირველმა ჯარისკაცმა.

— ხო, გოგიასი!

— ვინ გოგიასი?

— ვინ გოგიასი და ჩვენი გოგიასი!.. გოგია შოფერი იყო!.. ჩამოჯდებოდა მაგ „გაზიკის“ ძარაზე, ამოაძვრენდა გახუნებული გალიფეს ჯიბიდან ალაგ-ალაგ კბილებჩამტვრეულ ხის სავარცხელს, ზედ გაზეთის ნახევს მიაფარებდა, ტუჩებზე მიიდებდა, დაბერავდა და დააზუზუნებდა საჭიდაოს. ჩვენც, უბნის თანატოლი ბიჭები, დავეჭიდებოდით ერთმანეთს და... გამარჯვებულნი სამ-სამ კანფეტს მივიღებდით გოგიასაგან, დამარცხებულნი კი — თითოს. მე ხშირად ვიმარჯვებდი და ამით გათამამებულმა, იმ ერთ, ჩემთვის სამახსოვროდ დარჩენილ დღესაც აღარ დავაყოვნე ჩემზე წლოვანებითა და ტანადაც გაცილებით დიდ ბიჭთან დაჭიდება. ბევრი მირჩიეს, მაგრამ ვერ გადამათქმევინეს. კარგა ხანს ვებღლარძუნე. ვატყობდი, მითმობდა და ეს უფრო მაღიზიანებდა. აშკარად მჯობნიდა და მე მაინც არ ვეშვებოდი. მერე... თავგაბეზრებულმა ჩემმა მეტოქემ გვერდულზე მომიგდო და კარგა ლაზათიანად გამაშლევინა ბეჭები მიწაზე. ძლივს ავიტანე წელი. ჩემი შემხედვარე გოგო-ბიჭები სიცილით იგუდებოდნენ. იმ წამს ცხრაჯერ მეცვალა ალბათ სახეზე ფერი. სირცხვილისაგან აცახცახებულმა და გახელებულმა უმწეოდ დავუწყე მუშტების ქნევა.

— ეი, კახავ! დაწყნარდი, შე ბეიმურაზო შენა, ჩხუბი როგორ შეიძლება?! — გადმომძახა გოგიამ, მანქანის ძარიდან ჩამობობღდა და გაგვაშველა.

— რაც მე თქვენტოლობას წავუქცევივარ ბიჭებს, იმდენჯერ რო ჩხუბი ამტეხა, სად წავიდოდა საქმე, ჰა?!.. გადაკოცნეთ ერთმანეთი და მორჩა! — თქვა და ერთმანეთს ჩაგვახუტა.

... ამ დროს ზემოდან ფოტოგრაფმა ჩამოიარა.

— აქეთ მოდი ქლალავ! ერთი ამ ყოჩებს სურათი გადაუღე!... — გასძახა გოგიამ ფოტოგრაფს (ქლალა — ასე ვეძახდით ფოტოგრაფს ზედმეტსახელად. მისი ნამდვილი სახელით არავინ დაინტერესებულა არასოდეს, არც არავინ იცოდა და ეს ამბავი არც თვითონ მას აწუხებდა მაინცდამაინც).

ქლალამ იქვე გამართა თავისი „ფოტო“ და „ჩაგვაკარტიჩკა“. თვითონ გოგია მანქანაში ჩაჯდა, მე ჩემს მანქანაში უნდა ვიჯდეო. მანქანის კაბინაში ბნელოდა და მისი სახე სურათზე გარკვევით იმიტომ არ ჩანს.

... წეღან ვთქვი, შოფერი იყო-მეთქი გოგია! ... ჩამოაგრიხინებდა დილდილობით მაგ „გაზიკს“ ჩვენს ქუჩაზე, მანქანას ჩემი სახლის კარებთან გააჩერებდა, ავიდოდა ძარაზე და პირსაბანის ცილინდრზე ფილთაქვის ცემით წკარუნს ატეხავდა. მერე მთელი ქუჩა გამოვიშლებოდით იმის მოლოდინში, თუ ახლა რას მოითხოვდა ჩვენგან. რას მოითხოვდა-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხან ნაგავს ეზიდებოდა და ხან ნავთი მოჰქონდა ჩვენი უბნისათვის დიდრონ-დიდრონი ბიდონებით. დააწკარუნებდა მანქანის ძარაზე ასული გოგია პირსაბნის ცილინდრს და ჩვენც, უბნის ბიჭ-ბუჭები, ცნობისმოყვარეობით შევყურებდით ქვემოდან მის ერთთავად დასიებულ-დაწითლებულ, ნაყვავილარ ცხვირს.

— რაო, პირდაუბანელებო, რა პირდაფჩენილები მიყურებთ, წადით, ნაგავი გამაიტათ!

დაიძახებდა გოგია და აუტყდებოდა ქლრიალ-გრიალი ნაგვით სავსე ვედროებსა და ტაშტებს. მე და მამაჩემსაც გამოგვქონდა ნაგავი ეზოდან, მე ორი პატარა ძირგამომპალი ვედროთი, მამაჩემს რკინის ორყურა ყუთით, რომელსაც ოჯახში მარტო ის ძრავდა. ... და ივსებოდა ნაგვით გოგიას „გაზიკის“ ძარა.

მერე ერთი კვირა აღარ გამოჩნდებოდა გოგია. კვირის თავზე ისევ პირსაბანის ცილინდრის წკარუნი გამოგვაფხიზლებდა უბნის ბავშვებს და ისევ ცნობისმოყვარედ შევყურებდით გოგიას აჭარხლებულ ცხვირს დილის ძილისაგან დასიებული თვალებით.

— რა პირდაფჩენილი მიყურებთ, თქვე მამაძაღლებო, თქვენა!... ხო ვიცი, გაგითავდებოდათ ნამთი. წადით, ჭურჭელი გამაიტათ!

დაიძახებდა გოგია და ჩვენც ხელათ გამოვცოცხლდებოდით. უნდა აღვნიშნო, რომ ამ საქმეებში (ნაგვის გადაყრასა და ნავთით მომარაგებას ვგულისხმობ), მხოლოდ მამაკაცთა პერსონალი მონაწილეობდა. მე ორი პატარა თუნუქის ჭურჭლით, მამაჩემი კი — რძის დიდი ბიდონით მოვადგებოდით გოგიას მანქანას და ვიმარაგებდით ორი-სამი კვირის სამყოფ ნავთს.

ერთი დღე მინდა მოვიგონო...

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც პირთამდე გაივსო გოგიას „გაზიკის“ ძარა ჩვენი ეზოებიდან გამოზიდული ნაგვით. მეც გამოვიტანე ჩემი ორი პატარა ვედრო და შემდეგ ეზოს კარებთან აბუზული ვადევნებდი თვალს მეზობლების საქმიანობას.

— ეი, კახავ! ის დიდი ყუთი რაღა იქნა? წადი, გამაიტა! — გადმომძახა გოგიამ.

— მე ვერა ვძრავ იმ ყუთს! — ვთქვი მე.

— მამაშენი რაღა იქნა?!

— კომისარში გამოიძახეს დილას... დედაც იქ არის!..

გოგიამ ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა, ჩამოვიდა მანქანიდან, შემოვიდა ჩვენს ეზოში, მამაჩემს რომ გამოჰქონდა ხოლმე, ის დიდი, ორყურიანი რკინის ყუთი აიღო, გაიტანა გარეთ და შეაგდო ძარაზე. მერე თვითონაც ავიდა მაღლა, დაცალა ჭურჭელი და ძირს გადმოაგდო.

— მაგას ხო დაძრამ, ოქრო-ბიჭო?! — მომაძახა და გამიღიმა.

— დავძრავ, მამა! — მივუგე მე და იმისი ღიმილით ფრთებშესხმულმა, რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მაინც ჩავათრიე ეზოში რკინის ცარიელი ყუთი.

იმ დღიდან სამი თუ ოთხი კვირა აღარ გამოჩენილა გოგია. მერე კვლავინდებურად ჩამოაგრიხინა თავისი „გაზიკი“ ჩვენს ქუჩაზე. მხოლოდ ამჯერად მის გამოჩენას ის სილაღე და სიხალისე აღარ ჰქონდა, როგორც ადრინდელს. მუდამ განუყრელი ცილინდრიც აღარ დაუწკარუნებია.

— ნამთი-ი-ი!.. ნამთ-ი-ი!... ყვიროდა თავისი ბოხი, ხრინწმორეული ხმით გოგია.

ეზოდან გამოვედი თუ არა, სახტად დავრჩი მისი შემხედვარე. მთლად შეცვლილიყო სამიოდ კვირაში. თმა გასთეთრებოდა და სახეც ერთიანად დაღაროდა.

მეზობლები ნავთით ავსებდნენ ჭურჭლებს და სახლებში ეზიდებოდნენ. მანქანასთან ჩვენი კარის მეზობელი იოსება შემორჩა ბოლოს.

— შენი ბიჭიც წაიყვანეს, გოგი? — თანაგრძნობით ჰკითხა გოგიას იოსებამ.

— წაიყვანეს, იოსებჯან, წაიყვანეს!... ჩემი რა, სხვაზე ნაკლები იყო, არ წაეყვანათ? — ჩაიჩიფჩიფა გოგიამ და ხალათის სახელოთი შეიმშრალა თვალზე მომდგარი ცრემლი.

იოსებამ აიღო ნავთით სავსე ჭურჭელი და თავის ეზოში შეიტანა.

ის იყო მანქანის ძარიდან ჩამოსვლა დააპირა გოგიამ, რომ მე შემავლო თვალი.

— რა იყო, ბიჭო, ეხლა გაიღვიძე?

— არა! — ვუპასუხე მე.

— აბა, რა თავ-პირი ჩამოგტირის, ფინთათ ხო არა ხარ?!

— არა!

— ნამთი არ გინდათ?... წადი, ჭურჭელი გამაიტა!

— მე ვერა ვძრავ იმ ჭურჭელს!

— მამაშენი სად არი?

— ორი კვირაა ომში წაიყვანეს!... არ იცოდი?

— არაფერი გამიგია, შვილო!.. დედა სადღაა?

— დედა კომისარში წავიდა, მამასგან არც ერთი წერილი არ მიგვილია და იქნებ იმათ შემატყობინონ რამეო!

გოგია ძარაზე ჩამოჯდა, მერე ქუდი მოიხადა, კეფა მოიფხანა და გადმომძახა:

— წადი, ჭურჭელი გამაიტა, დავავსებ და მე შემოვიტან ეზოში.

— ფული არ დაუტოვებია დედას!... — ვთქვი და თავი ჩავღუნე.

— მე ფულსა გთხოვ, შე ბეიმურაზო შენა, ჭურჭელი-მეთქი!.. — ხასიათი გამოიკეთა გოგიამ.

იმისი ნაძალადევი მხიარულება ჩემს ბავშვურ მიამიტობას თავს შემოეხვია და მეც მხიარულ ხასიათზე დამაყენა. შევვარდი ეზოში და ჭურჭელი გამოვიტანე. გოგიამ ჯერ ჩემი ორი პატარა თუნუქის ჭურჭელი გაავსო ნავთით, მერე კი ის დიდი ბიდონი, მამას რომ შემოჰქონდა ხოლმე და თვითონვე შემოიტანა ჩვენსა.

— დედა რომ მოვა, ფულს მერე ამოგირბენინებ, გოგია ძიავ! — მივაძახე ეზოდან გასულს.

— ჰაიტ, შე ფსუტიანო, შენა, საჩუქარი და სასყიდელი არ უნდა იცოდე, ამხელა კაცმა?... ეს ნამთი მე შენ გაჩუქე, კი არ მოგყიდე! — თქვა გოგიამ, მაზუთიანი ხელით ჯიბიდან ბალიშა კანფეტები ამოიღო, ხელებში ჩამიყარა, მერე დაქოქა თავისი „გაზიკი“ და მოკირწყლულ ქუჩაზე ჩააგრიხინა.

ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქუჩის თავში ნავთის წერტი გახსნეს. იყიდებოდა ამ წერტში ნავთის გარდა, საპნები, ქვაბები, ტაშტები და ათასი სხვა რამ საოჯახო წვრილმანი. წერტში გამყიდველად ვინმე სერგო დააყენეს.

რაც შეეხება გოგიას... გოგიას ჯერ იყო და ომიდან შვილის დაღუპვის ბარათი მოუვიდა. კარგა ხანს იავადმყოფა საცოდავმა. მერე იყო და პენსიაზე გაუშვეს. უთხრეს: — დროა, შენც დაისვენო და შენი ჯაბახანა მანქანაც დაასვენოო. გოგია მაინც ვერ ისვენებდა უქმად ყოფნით და ნავთს რომ აღარ გააკარეს, ნაგავსღა ეზიდებოდა ჩვენი უბნიდან. ერთხელაც, ნაგვის გადაყრის დროს მანქანა დაჰგორებოდა და ხევში გადაჩეხილიყო. ხალხი კიდევაც კვირვობდა: — როგორ გადარჩა გოგიაო;

მაგრამ ავარიის შემდეგ გოგია ძალიან შეიცვალა. ეთქვა კიდეც თავის ტოლა კაცებში: — მუხლებში სისუსტესა და თვალში ჩინის კლებასა ვგრძნობო.

...და გოგიამ სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი. მთელი დღე ჩემი სახლის წინ იჯდა და მზესუმზირას ყიდდა. უბნის ონავარმა ბიჭებმა წარწერაც კი გაუკეთეს ქვას:

„ეს გოგიას ქვა არის!“

მერე მე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს...

... სამხედროდან დაბრუნებულმა დედაჩემს ვკითხე:

— ჩვენს სახლთან რომ ქვა ეგდო, რა იქნა-მეთქი?

— ის ქვა, შვილო, გოგიასი იყო და იმის საფლავზე დადეს კაცებმა. — მითხრა დედაჩემმა.

მოულოდნელობისაგან დავიბენი, სამხედრო ქუდი მოვიხადე და გოგიასებურად მოვიფხანე კეფა. მერე სასაფლაოზე გავედი. იმ ქვით მივაგენი საფლავს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი მდუმარედ. ჩემგან ოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით ხალხი ირეოდა. ეტყობოდა, ვიღაცა დაესაფლავებინათ. ცოტა აქეთ, ტირიფის ჩრდილქვეშ მეზურნეები მიყუჩებულიყვნენ. სამნი იყვნენ. მეღოლეს მზერა დავიჭირე და ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო. სამივენი წამოვიდნენ.

— საჭიდაო დაუკარით! — ვუთხარი მეღოლეს და თუმნიანი ჩავუჯიბე.

— რაო? ... საჭიდაო? ... — გაიკვირვა მან.

— ხო, საჭიდაო... გოგიას უყვარდა!.. — ვთქვი მე და თვალი თვალში გავუყარე. მეღოლემ დოლი მოიმარჯვა და მეზურნეებს ნიშანი მისცა...

ქარი საფლავის ქვაზე დადებული თაიგულის ჯერ კიდევ დაუმჭკნარ ფოთლებს ეჭიდავებოდა.






**მხატვარი დათო სიხარულიძე.**

# რუსეთში გამარჯვების დღე აღნიშნეს

**მოსკოვში გაიმართა ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმი. თუმცა, ეს საზეიმო დღე რუსეთის დედაქალაქში ექსცესების გარეშე არ დასრულებულა – დააკავეს ახალგაზრდული მოძრაობების ათობით წევრი.**

წითელ მოედანზე გამართულ აღლუმში მონაწილეობდა დაახლოებით 4 ათასი ომის ვეტერანი და 7 ათასი რუსი სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო აღლუმები გაიმართა აგრეთვე, რუსეთის ყველა დიდ ქალაქში.



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომს ემსხვერპლა 27 მილიონი საბჭოთა მოქალაქე.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. შეეხო რა ომის გაკვეთილებს, პუტინმა განაცხადა, რომ „ძალადობის მიმართ წაყრუება, უსულგულობა მუდამ იწვევს საშინელ კატასტროფებს, მსოფლიო მასშტაბის ტრაგედიებს.

წითელ მოედანზე გამართულ აღლუმს თვალყურს ადევნებდნენ მსოფლიოს 50 ქვეყნის ლიდერები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი.

საზეიმო აღლუმის დასრულების შემდეგ საპატიო სტუმრებმა ალექსანდრეს ბაღში ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

მაგრამ მოსკოვს არ სწვევია მრავალი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელი. ლიტვისა და ესტონეთის პრეზიდენტები რუსეთის დედაქალაქში არ ჩავიდნენ იმის გამო, რომ ისინი სულ სხვაგვარად აფასებენ მეორე მსოფლიო ომის შედეგებს, რომლის დასრულებასაც მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ოკუპაცია კომუნისტური რეჟიმის მიერ.

საქართველოს ლიდერი მიხეილ სააკაშვილი არ ჩასულა მოსკოვში იმის გამო, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის დაწყების ვადების შესახებ მხარეებმა ვერ მიაღწიეს მორიგებას.

მოლდავეთის პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი მოსკოვში 8 მაისს დაესწრო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტს, თუმცა, გამარჯვების დღეს იგი სამშობლოში დაბრუნდა.

მოსკოვში არ ჩასულა ასევე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად ძალზე მოუცლელია, რადგან მიმდინარეობს ბრიტანეთის ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამარჯვების დღესასწაულზე მთელი რიგი არასასიამოვნო ექსცესებიც მოხდა. „წითელი ახალგაზრდობის ავანგარდის“ – მემარცხენე რადიკალთა ჯგუფის წევრებმა სცადეს გაერღვიათ მილიციის კორდონები, როცა ბელორუსიის ვაგზალთან მიმდინარეობდა ხელისუფლების მიერ სანქცირებული მემარცხენე ძალთა მიტინგი.

დააკავეს დაჯგუფების ლიდერი სერგეი უდალცოვი. ახალგაზრდებმა ომონელებს დაუშინეს პეტარდები და საკვამლე კოჭები.

ბელორუსიის ვაგზალთან გამართულ მიტინგში მონაწილეობდა დაახლოებით 8500 კაცი – ძირითადად ომის ვეტერანები.



# მაგატე: ჩრდილოეთ კორეას შეიძლება ჰქონდეს ბირთვული ბომბი

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) მეთაურმა მოჰამედ ბარადეიმ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეას თეორიულად შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ბირთვული ბომბი.**

როგორც ბარადეიმ აღნიშნა სი-ენ-ენ ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს საკმარისი რაოდენობის პლუტონიუმი და საჭირო ინფრასტრუქტურა 5-6 ბირთვული ბომბის დამზადებისთვის.

მიმდინარე წლის თებერვალში ფხენიანი აღნიშნავდა, რომ ჰქონდა ბირთვული იარაღი, მაგრამ ასეთი განცხადების სისწორის შემოწმება შეუძლებელია, რადგან ჩრდილოეთ კორეამ ჯერ კიდევ 2002 წლის დამლევიდან აუკრძალა ქვეყანაში მუშაობა გაეროს ინსპექტორებს.

მაგატეს მეთაურმა კიდევ ერთხელ მოუწოდა ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც აქვთ მეტ-ნაკლები გავლენა ჩრდილოეთ კორეაზე, დაარწმუნონ ფხენიანი იმაში, რომ ხელი აიღოს ბირთვული გამოცდების განხორციელებაზე.

სამხრეთ კორეამ გამოთქვა დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ ჩიხში მოექცა მოლაპარაკება ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ.

# ესპანეთის მომავალი დედოფალი მალე დედა გახდება

**ესპანეთის მომავალი დედოფალი – პრინცესა ლეტისია – სამი თვის ფეხმძიმეა. ეს განაცხადეს ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრებმა.**

32 წლის ლეტისია ორტისი 37 წლის ტახტის მემკვიდრე-უფლისწულს ფელიპეს გასული წლის მაისში გაჰყვა



ცოლად. მათი შვილი ნოემბერში უნდა მოევლინოს ამ ქვეყანას და იგი გახდება მამის შემდეგ ტახტის რიგით მეორე მემკვიდრე.

პრინცი ფელიპე მეფე ხუან კარლოსის და დედოფალ სოფიას ერთადერთი ვაჟია.

თუ პრინცესა ლეტისია გააჩენს გოგონას, ხოლო შემდეგ კი ბიჭი გაუჩნდება, ესპანეთის კონსტიტუციის თანახმად, მამის შემდეგ, სწორედ ვაჟი გახდება ტახტის მემკვიდრე.

მაგრამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროში განაცხადა, რომ ეცდება შეცვალოს ძირითადი კანონის ეს დებულება, რადგან პრემიერის აზრით, სამეფო ოჯახში ქალები განიცდიან დისკრიმინაციას სქესობრივი ნიშნით.

ჭიდაობა

# ოლიმპიური ჩემპიონის სახელობისა

**დიღმის საჭიდაო კომპლექსში დამთავრდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის – ლევან თედიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 230 ჭაბუკი მონაწილეობდა.** წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: გიორგი გელაშვილი (ხაშური), რაულფ შაკულოღლი (გარდაბანი), ოთარ გოგავა (ხონი), კოტე გავაშელი (თბილისი), მათეოზ საროიანი (სომხეთი), გიგა გრძელიშვილი (თბილისი), შავლეგ ყულიაშვილი (ბოლნისი),



ნუგზარ გონაშვილი (დედოფლისწყარო), გიორგი ასლანიშვილი, თედო ებანოიძე, გიორგი გოგრიჭიანი, დავით ლომჯარია (ყველა – თბილისი), გიორგი ლაფერაშვილი (საგარეჯო).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**გიორგი გაგუა.**

შეხვედრა

# ვეტერანები დააფასეს



**გუშინ მთელი მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავი. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა (უფროსი გია უდესიანი) კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეხვედრა მოუწყო ომის ვეტერან სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში პირნათლად მოიხადეს სამშობლოს წინაშე მხედრული ვალი და მშვიდობიანობისას ქართული სპორტის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს.**

ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ თამარ გოთუას, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილებს, სპარტაკ ბახტაძეს, აკაკი დოკვაძეს, ზურაბ მაჩხანელს, თორნიკე სანებლიძეს, ივანე უმაკოვს, ოთარ ვახანიას, გივი ყირმელაშვილს, შოთა ბუაძეს, ირაკლი ეგნატაშვილს, გიორგი ოგანეზოვს, სერგო ქავთარაძეს, იური რუხაძეს, თეოფილე ჩაგულოვს, ვასილ შმაკოვს და რაჩიკ მამაჯანოვს.

სპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა და ომის ვეტერანებმა გამარჯვების 60 წლისთავი ჭიქა შამპანურითაც მიულოცეს ერთმანეთს.

ვეტერანებმა – შოთა ბუაძემ და გივი ყირმელაშვილმა შეხვედრის ორგანიზატორებს ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადეს.

**ლექსო ცინცაძე.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



კალათბურთი



# ებრაული მაისობა

**როგორ ოცნებობდნენ რუსები, გამარჯვების დღისათვის ყველაზე პრესტიჟული ევროპული ჯილდო მოეპოვებინათ – საამისოდ ცსკა თითქმის მთლიანად უცხოელი ვარსკვლავებით დახუნძლეს და იქ მხოლოდ ერთი სლავი თამაშობს.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაც – ოთხთა ფინალური რაუნდი რომ მოსკოვში დანიშნა – ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. მართლაც არმიელები მთელი სეზონის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით მუსრავდნენ მრისხანე მეტოქეებს და მათ გათამაშების მთავარ ფავორიტადაც ბევრი მიიჩნევდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ამ თითქოსდა გამართულ მექანიზმში რაღაც მოიშალა და ტრიუმფის ნაცვლად „წითელი“ კლუბის ქომაგები იმედგაცრუებულნი შეეგებნენ იუბილეს.

მასპინძელთა ილუზიების მსხვრევა ესპანურმა „ტაუ-ვიტორიამ“ დაიწყო, რომელმაც ლიტველი გამთამაშებლის – მაციაუსკასის (23 ქულა) წინამძღოლობით უდიდესი სენსაცია მოახდინა – 85:78. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ისრაელის „მაქაბი“ იოლად გაუსწორდა საბერძნეთის „პანათინაიკოსს“ – 91:82.

დასკვნითი დღის პროგრამა III ადგილის მაძიებელთა მატჩით გაიხსნა, სადაც ელადელებმა მხოლოდ მეორე დამატებით დროში მოუგეს დრამატული სანახაობა ცსკა-ს 94:91.

რაც შეეხება ფინალს, იგი ერთი გუნდის ბენეფისად იიქცა – „მაქაბიმ“ ყველა კომპონენტში დაჯაბნა ფიზიკურფსიქოლოგიურად გამოფიტული ბასკები – 90:78 და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ევროლიგის მთავარ თასს.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა სამსაათიანი სხდომის შემდეგ ძალაში დატოვა უეფას თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შედეგი – 3:0 და ცსკას მწვანე შუქი აუნთო ლისაბონისაკენ, სადაც არმიელებს იქაური „სპორტინგი“ ფინალში 18 მაისს უმასპინძლებს.**

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ რუსეთის დედაქალაქში გამართულ შეხვედრაში ტრიბუნიდან ნასროლი პეტარდა „პარმას“ მეკარე ბუჩის თავში მოხვდა და კონტუზირებული აპენინელი შესაცვლელი გახდა. სწორედ ამიტომ ითხოვდნენ სტუმრები შედეგის გაუქმებას. თუმცა, მოსკოველები სასჯელს მაინც ვერ გადაურჩნენ – ეს გუნდი 100 000 შვეიცარული ფრანკით დაჯარიმდა და ერთ საშინაო ევროპულ თამაშს უმაყურებლოდ გამართავს.

* * *

**იტალია. XXXV ტური.** „მილანი“ – „იუვენტუსი“ 0:1, „ბრეშია“ – „ინტერი“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ – 79, „მილანი“ – 76, „ინტერი“ – 65 ქულა.

**ბომბარდირები:** ჯილარდინო („პარმა“), ლუკარელი („ლივორნო“) – 22-22 გოლი.

**შემდეგი ტური:** „იუვენტუსი“ – „პარმა“, „ლეჩე“ – „მილანი“, „ინტერი“ – „ლივორნო“.

**ესპანეთი. XXXV ტური.** „ვალენსია“ – „ბარსელონა“ 0:2, „რეალი“ – „რასინგი“ 5:0, „მალაგა“ – „ვილიარეალი“ 0:2, „ბეტისი“ – „სევილია“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 81, „რეალი“ – 75, „ვილიარეალი“, „სევილია“ – 58-58 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) – 22 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლევანტე“ – „ბარსელონა“, „სევილია“ – „რეალი“, „ვილიარეალი“ – „ალბასეტე“.

**ინგლისი. XXXVII ტური.** „ჩელსი“ – „ჩარლტონი“ 1:0, „არსენალი“ – „ლივერპული“ 3:1, „მანჩესტერი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 1:1.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ – 91, „არსენალი“ – 80, „მანჩესტერი“ – 74 ქულა.

**ბომბარდირი:** ანრი („არსენალი“) – 25 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ნიუკასლი“ – „ჩელსი“, „ბირმინგემი“ – „არსენალი“, „საუთჰემპტონი“ – „მანჩესტერი“.



**გერმანია. XXXII ტური.** „მაინცი“ – „ბაიერნი“ 2:4, „ბილეფელდი“ – „შალკე“ 0:2, „შტუტგარტი“ – „ჰანოვერი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 71, „შალკე“ – 60, „შტუტგარტი“ – 58 ქულა.

**ბომბარდირი:** მინტალი („ნიურბერგი“) – 23 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბაიერნი“ – „ნიურბერგი“, „შალკე“ – „ბორუსია“, „ბოხუმი“ – „შტუტგარტი“.

ნამყო

## ვიქტორ პეტელინი

# მიხეილ შოლოხოვის შეხვედრები იოსებ სტალინთან




**ფრთხილად უნდა იყოთ, ამხანაგო შოლოხოვ, მაგრამ განა აქ იმისათვის მოგიწვიოთ, რომ ჭკუა დაგარიგოთ და ნოტაციები გიკითხოთ. თქვენ დამოუკიდებელი ადამიანი ბრძანდებით, თვითონვე გაერკვიეთ თქვენსავე პირად შემოქმედებით საქმეებში. აქ მოგიწვიეთ საზღვარგარეთ, ჯერჯერობით ბერლინში, გამგზავრებასთან დაკავშირებით, იტალიურ ვიზას დაელოდეთ, ნახეთ, რა ხდება გერმანიაში, ახლა იქ უსასტიკესი კრიზისია, დააკვირდით, იქაური მდგომარეობა და ვითარება ჩვენ საქმეებსა და მოვლენებს შეადარეთ. ეწევით?**

და სტალინმა მაგიდიდან ჩიბუხი აიღო.

– დიახ, თანაც ჩიბუხს ვამჯობინებ.

– მოწიეთ, ნუ გრცხვენიათ... ახლა ჩვენში, ამხანაგო შოლოხოვ, ისეთი ამბები ხდება, რომ საჭიროა მწვავე მწერლური ხედვა, რათა შენიშნოთ, არა მხოლოდ ხილული, არამედ ფარული მხარეც, რათა ყოველივე ამას ხორცი შეასხათ მხატვრული სახეებით. ნახეთ, რა ხდება სოფლად, ჩვენ ხუტორებსა და სტანიცებში.

– დიახ, მე სტანიცა ვეშჩენსკაიაში ვცხოვრობ, ვმოგზაურობ ხუტორებსა და სტანიცებში, ყველაფერს ვხედავ, მიმდინარე ამბებზე ვესაუბრები სხვადასხვა ადამიანს – როგორც პარტიულებს, ისე რიგით კაზაკებს... ბევრი საინტერესო რამ არის მწერლისათვის, ხდება მთელი მოძველებულის, შეჩვეულის მსხვრევა, სულ უფრო მჟღავნდება ადამიანის შინაგანი არსი. შენც, ადექი და წერე და წერე...

– რა ჩაიფიქრეთ დღევანდელობაზე? ჩვენ ასევე გვჭირდება წიგნი დღევანდელ სოფელზე, მთლიან კოლექტივიზაციაზე, კულაკების განადგურებაზე... ეყოფათ მათ ღარიბებისა და საშუალო გლეხობის წამება, კმარა მუდმივ კაბალაში მათი ყოფნა... თქვენ, ამხანაგო შოლოხოვ, გაგიტაცათ სამოქალაქო ომის ამბებმა. ეს კარგია, მაგრამ მომენტს ხელიდან ნუ გაუშვებთ და დაწერეთ იმაზე, რაც დღეს უბრალოდ ჩვენში ხდება. ესოდენ მწვავე კონფლიქტები, ასეთი დრამატული ამბები, მიმდინარეობს ადამიანური სულისკვეთების განახლების ჭეშმარიტი პროცესი... თქვენ წაგიკითხავთ თედორე პანფიოროვის რომანი „ძელები“?

– წავიკითხე, ამხანაგო სტალინ. ძალზე ცუდი რომანია, ლიტერატურულად უწიგნური და უნიჭო თხზულება, ამასთან ცდილობს მიისაკუთროს „ლიტერატურული ბელადის“ როლი, თუკი შეიძლება მას „ბელადი“ ვუწოდოთ, მხოლოდ წუნმკეთებლის „ბელადი“. იგი თვითონვე აცხადებს: „თუ ასი სიტყვიდან დარჩება ხუთი კარგი სიტყვა, ხოლო ოთხმოცდათხუთმეტი იქნება ცუდი, ესეც ხეირია“. „ძელებიც“ ასეა დაწერილი: ოთხმოცდათხუთმეტი სიტყვა ცუდი, ესე იგი, საოცარი ლიტერატურული მცირემცოდნეობის, უდარდელობის ოთხმოცდათხუთმეტი სიტყვა სიტყვისა და უმეცრების მიმართ. ყველაზე საოცარი ის არის, ამხანაგო სტალინ, რომ ვერც ერთი კრიტიკოსი ამ ნაკლოვანებებს ვერ ხედავს, თუკი ამჩნევენ, მაშინ ამაზე ლაპარაკობენ ყრუდ და ბუნდოვნად, ხოლო სერიოზული ანალიზის ნაცვლად ავტორს გაუთავებელ და სულელურ დითირამბებს უმღერიან, იქამდეც კი მიდიან, რომ თედორე პანფიოროვს უდარებენ ბალზაკს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში – უსპენსკის. და ამაში დამნაშავეა, ამხანაგო სტალინ, ჯგუფურობა. საკმარისია მწერალმა ოდნავ წაიწიოს მოწინავე მიჯნებზე, რომ მაშინვე გარს ერტყმიან მლიქვნელები. ისინი მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ქება-დიდებას ასხამენ ამ ლიდერის მიერ დაწერილ ნებისმიერ ნაწარმოებს. ამა თუ იმ კრებაზე წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას. იშვიათად ვარ ხოლმე რაპპელთა კრებებზე, მაგრამ როდესაც ვესწრები და მათ სიტყვებს ვისმენ, ბოდიში და გული მერევა, ხოლო, როდესაც ვეღარ ვუძლებ,


შოლოხოვი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი. 1941წ.

თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ...

– ის, რასაც თქვენ მიყვებით, ამხანაგო შოლოხოვ, ჩემთვის მეტად საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვანია. ათი დღის წინათ აქ იყვნენ პროლეტარულ მწერალთა რუსეთის ასოციაციის ხელმძღვანელები კირშინი, ფადეევი, პანფიოროვი, ავერბახი. ორსაათნახევარი დავყავით ამ კაბინეტში, ვესაუბრობდით ლიტერატურულ ფრონტზე მდგომარეობის, პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდეგ მწერალთა წინაშე დასახულ ამოცანათა შესახებ. მე, ამხანაგო შოლოხოვ, მხოლოდ ერთი რამ გავიგე: მათ დიდი გეგმები აქვთ, მაგრამ თვითონ, როგორც მწერლები, პატარები არიან, შესაძლოა, მხოლოდ ალექსანდრე ფადეევი...

– საშა ნიჭიერი და ჭკვიანია, მაგრამ მას დიდ დროს ართმევს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნა. მხოლოდ იმაზე ოცნებობს, თუ როდის მიუჯდება საწერ მაგიდას, მაგრამ ძალიან უყვარს თავისი თანამდებობრივი საქმიანობა, მოსწონს იგი, აკმაყოფილებს მის თავმოყვარეობას, ერთობ პატივმოყვარეა, რაც ხელს უშლის, მაგრამ კარგი ამხანაგია, ნამდვილი მეგობარი. ოღონდ ეს არის – არ ესმის ჩემი „წყნარი დონი“, ჩემი შემოქმედებითი ჩანაფიქრი – წარმოვაჩინო სამოქალაქო ომის მოვლენები მართლად, განსაკუთრებით სურს ვეშჩენსკაიას აჯანყების მიზეზთა შერბილება, მთავაზობს რომანიდან ამოვაგდო ისეთი ეპიზოდები და თავები, რომლებიც ჩემთვის ძვირფასია, მათ გარეშე ჩემი რომანი ვერ წარმომიდგენია, არაფრის დიდებით არ დავყაბულდები მათ გადაკეთებას...

– დაასრულეთ „წყნარი დონის“ მესამე წიგნი?

– დიახ, სწორედ მოსკოვში გამომგზავრების წინ დავამთავრე. მარუსია, ჩემი ცოლი, უკვე მანქანაზე ბეჭდავს. სორენტოდან რომ დავბრუნდები, ხელნაწერი მზად იქნება საბოლოოდ და შეუცვლელად.

– გორკის რომ ნახავთ, გააცანით თქვენი სიძნელეები, ჰკითხეთ რჩევადარიგებანი, მოეთათბირეთ. თქვენსა და თქვენ რომანზე მას კარგი წარმოდგენა აქვს. წიგნის დაბეჭდვაზე ჩვენ ვიზრუნებთ, ვურჩევთ ამხანაგებს, მეტი ყურადღებით წაიკითხონ რომანის მესამე წიგნი. „წყნარი დონი“ ბევრს მოსწონს, გაგრძელებას ელოდებიან, თურმე, გაგრძელება არის, მაგრამ რაღაც მოსაზრებათა გამო არ ბეჭდავენ: საქმეში გავერკვევით, ამხანაგო შოლოხოვ, დავეხმარებით ამხანაგებს გაიგონ, თუ რა სჭირდება დღევანდელობას. ხომ გახსოვთ, როგორ მტრულად შეხვდნენ პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები ალექსი მაქსიმოვიჩ გორკის ჩამოსვლას, რამდენი მცდარი რამ და სიცრუე დაიწერა მისი ჩამოსვლის წინ. ავერბახმა, მისთვის დამახასიათებელი სიფიცხით, გორკი დაადანაშაულა იმაში, რომ თითქოს თავი მოჰქონდეს როგორც მოძღვარსა და რომის პაპივით უცოდველს. თავის გულღვარძლიან ბრალდებებში იქამდე მივიდა, რომ ამტკიცებდა: გორკი – ეს არის ადამიანი, რომელსაც კლასობრივი ცნობიერება ან გააჩნიაო. ავერბახის ნოვოსიბირსკელმა თანამიმდევრებმა ისიც კი განაცხადეს, რომ ამ ბოლო წლებში გორკის გამოსვლები სხვა არაფერია, თუ არა შენიღბული მტრის გესლიანი გამოსვლები, რომ იგი გახდა რუპორი და საფარი საბჭოთა ლიტერატურის მთელი რეაქციული ნაწილისთვის, რომ თითქოს იცავდეს მთელ საბჭოურ მოწოდებებს მათ ყველა გამოვლენაში. წარმოგიდგენიათ, უკლებლივ მთელი ეს სისაძაგლე იბეჭდებოდა ჟურნალში „ნასტოიაშჩეე“ და სამხარეო გაზეთში „სოვეტსკაია სიბირ“. ყველა გამონათქვამი იყო მეტად უხეში მცდარობა და თავხედობა ხულიგნური ნიშნებით. ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ყველა ეს საკითხი და გადააყენა გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი ამხანაგი კურსი თავისი მოვალეობებისაგან, როცა ციმბირის სამხარეო კომიტეტს წინადადება მისცა გააძლიეროს ციმბირის ლიტერატურული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველყოს „მემარცხენე“ გადახრების გამოსწორება ლიტერატურულ ორგანიზაციათა საქმიანობაში. ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა, ამხანაგები მოსკოვსა და ციმბირში, მგონი, ასწორებენ თავიანთ შეცდომებს... ისინი უნარიანი ადამიანები არიან, ხოლო მდგომარეობა ლიტერატურაში, ისევე როგორც თვით ქვეყანაში ძალიან რთულია. როგორც თავის დროზე ამხანაგი ლენინი ამბობდა ხოლმე.

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 96, 102, 108.**

სპორტულ ორბიტაზე

# ესპანეთის დიდი პრიზი — რაიკონენს

**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „ესპანეთის გრან-პრი“ ბარსელონაში გაიმართა. დიდების კვარცხლბეკზე პირველი ავიდა „მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი, მეორე საფეხური დაიკავა წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერმა, ესპანელმა ფერნანდო ალონსომ „რენოდან“, პოდიუმზე მესამე იყო „ტოიოტას“ იტალიელი მრბოლელი იარნო ტრული.**

კარგად, თუმცა მერვე ადგილიდან დაიწყო რბოლა მიხაელ შუმახერმა, მან ერთ-ერთი წრე ყველაზე სწრაფად – 1 წუთსა და 16 წამში გაიარა, მაგრამ 47-ე წრეზე წინა ბორბალმა დაალალატა და მთელი წრე დაშვებული საბურავით გაიარა, თანაც იმდენი დრო დაკარგა, რომ რბოლის მიტოვება ამჯობინა.

# იყიდის აბრამოვიჩი შევჩენკოს?

**„ანდრეი შევჩენკო რომან აბრამოვიჩის საყვარელი მოთამაშეა და ის ყველაფერს გააკეთებს უკრაინელი ფორვარდის ხელში ჩასაგდებად“, – იტყობინება „ჩელსის“ პატრონთან დაახლოებული მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო, თანაც დასძენს, რომ თუმცა ამის ნაკლები შანსია, მაგრამ აბრამოვიჩი იმედს არ კარგავსო.**



არსებული ინფორმაციით, წლევანდელი სეზონის დასასრულისთვის „არისტოკრატების“ მფლობელი მზადაა იტალიურ „მილანს“ შესთავაზოს 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი (46 მილიონ დოლარზე მეტი) და არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპოც. თუმცა რომან აბრამოვიჩს არ გაუმართლა პირველმა ცდამ, როცა შევჩენკოში „მილანს“ 30 მილიონ გირვანქას სთავაზობდა.

# რუსული სტრიპტიზი დაეხმარება?

**სანქტ-პეტერბურგში დაბადებული 36 წლის მილიარდერი ალექს შნაიდერი მარტო უამრავი ფოლადჩამომსხმელი ქარხნების მფლობელი კი არაა რუსეთსა და მთელ მსოფლიოში, არამედ ის „ფორმულა-1“-ის საჯინიბოს „ჯორდანის“ პატრონიცაა, რომლის აქციები თავის პარტნიორთან ედუარდ შიფრინთან ერთად შარშან 50 მილიონ დოლარად შეიძინა.**

ახალმა შენაძენმა ბიზნესმენს მაინცდამაინც არ გაუმართლა. თებერვალში წითელ მოედანზე მდიდრული პრეზენტაციის შემდეგ გუნდმა შნაიდერს უამრავი პრობლემა გაუჩინა. თუმცა გამოსავალი მალე მოძებნა. ტრეკზე წარუმატებლობის კომპენსაცია დამატებითი „მუშახელით“ მოინდომა. „მე მივხვდი, რომ უქალებოდ „ფორმულა“ სანახევროდ კარგავს თავის მიმზიდველობას“, – განაცხადა საზრიანმა მეწარმემ, – ამიტომაც რუსეთიდან ლამაზმანები მოვიწვიე, რითაც მდიდარია ეს მადლიანი ქვეყანა“.

მართალია, ტოპ-მოდელების დესანტი დიდად ვერ დაეხმარა „ჯორდანს“ წარმატების მოპოვებაში, მაგრამ თავად არნახული „აფეთქება“ მოახდინა ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში როგორც მაყურებელთა, ისე რბოლის მონაწილეთა შორის.



ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



2000 წლის 9 მაისი. ზურაბ ჟვანია ვეტერანთა ერთ ჯგუფთან საქართველოს პარლამენტის შენობაში. მოგვაწოდა ქალბატონმა ლამარა ტრაპაიძემ.

ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე ჯორჯ ბუშს ექვს პარლამენტართან ერთად შეხვდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს ექვს პარლამენტართან ერთად შეხვდება.

საპარლამენტო ჯგუფში მხოლოდ ერთი ოპოზიციონერი – „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი და საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები-ახლების“ თავმჯდომარე დავით გამყრელიძე შედის. მის გარდა, ბუშს შეხვდებიან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე.

შეხვედრა 10 მაისს საქართველოს პარლამენტში გაიმართება.

## ბაზებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები განახლდება

9 მაისის შემდეგ რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ ქართულ-რუსული მოლაპარაკებები განახლდება, – განაცხადა გუშინ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა. მას იმედი აქვს, რომ მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს და საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმება შედგება.

ინტერ-პრესი.

რეტრო



# ერთი სტუმრობის ისტორია

1948 წელს საქართველოს ეწვია ფ. რუზველტის ვაჟი, რომელმაც თავის მამას მიუძღვნა საქვეყნოდ ცნობილი წიგნი „მისი თვალით“. ელიოტ რუზველტი საქართველოში თავის მეუღლესთან, მსახიობ ფეი ემერსონთან ერთად ჩამოვიდა. საპატიო სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილება – მისი პირველი თავმჯდომარე ლიტერატორი ნ. მიქავა.

სურათებზე: (მარცხნიდან) არქიტექტორი ვ. ჯორბენაძე, მთარგმნელი ვ. ურუშაძე, ელიოტ რუზველტი, ფეი ემერსონი, მოსკოვის წარმომადგენელი, ნ. მიქავა, ნ. ვაჩნაძე.

(მარცხნიდან) ნ. ვაჩნაძე, ვ. ჯორბენაძე, ვ. ურუშაძე, ფეი ემერსონი, ელიოტ რუზველტი, მოსკოვის წარმომადგენელი.

ნ. ვაჩნაძე, ვ. ჯორბენაძე, ელიოტ რუზველტი, ფეი ემერსონი.

ეს სურათები გადაიღო ფოტოკორესპონდენტმა იგნატოვიჩმა, როცა სტუმრები ათვალიერებდნენ სვეტიცხოვლის ტაძარს.





გიხაროდენ!

# გიორგი და ლუკა რუსთავიდან

მეც მინდა მოგახაროთ ჩვენი ამბავი, რომ ქვეყნიერებას ჩემი ორი შვილიშვილის დაბადების შესახებაც ამცნოთ. ჩემს რძალს თეკლას და ვაჟს ალეკოს 8 მაისს ტყუპი ბიჭი შეეძინათ. პატარებს გიორგი და ერეკლე დაარქვეს. ისეთი ბიჭები არიან, კალმით ნახატებს ჰგვანან. დედაც და შვილებიც ჯანმრთელად და კარგად არიან. სამშობიარო სახლიდან მალე შინ წავიყვანთ, სადაც მათ დასახვედრად საგანგებოდ ვემზადებით.



ტყუპების შეძენას ვულოცავ ჩემს ალეკოს და თეკლას, თავად დედისერთანი არიან და მრავალშვილიანობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებ.

გიორგი შუბითიძე. რუსთავი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



გამარჯვების სამოცი წლისთავის წინა დღეს დსთ-ს ლიდერებმა ხელი მოაწერეს ისტორიულ დეკლარაციას ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ. აბა, კიდევ რაზე შეეძლოთ ხელის მოწერა? კაპიტულაციის აქტზე?..

* * *

სამშობიარო სახლში ახალგაზრდა მიხო სურათს უღებს ახალშობილ ვაჟს. ხან ერთი მხრიდან გადაუღო, ხან – მეორედან. მთელი ლენტი დახარჯა.

— რახან ასე გიხარიათ, ალბათ პირველი შვილია, არა? — ეკითხება მედდა.

— არა, შვილი მესამეა, ფოტოაპარატია პირველი.

* * *

— როგორ მიგდის საქმეები ახალგაზრდა ცოლთან? — ეკითხება ერთი ახალი რუსი მეორეს.

— ჯერჯერობით ნორმალურად.

— რას ნიშნავს ჯერჯერობით?

— ჯერჯერობით, სანამ ფული მაქვს.

* * *

— ძვირფასო, დღეს ჩვენი ქორწინების წლისთავია. გოჭი ხომ არ დაგვეკლა? — ეუბნება ცოლი ქმარს.

— გოჭი რა შუაშია? შენი ძმაა დასაკლავი — მაგან არ გაგვაცნო ერთმანეთი?

* * *

იდეალისტია ის, ვინც აღმოაჩენს რა, რომ ვარდს კომბოსტოზე უკეთესი სუნი აქვს, დაასკვნის, რომ ვარდით უკეთესი წვნიანი დამზადდება.

* * *

თავგასისხლიანებული ტიპი საავადმყოფოში მიიყვანეს. თავის ქალის ფუძე ჰქონდა გატეხილი.

— რა დაგემართათ? — ეკითხება მორიგე ექიმი.

— იცით, რა, ცოლს ვუთხარი, რომ კატლეტი ცოტა მაგარი გამოსვლია.

— ამას რა კავშირი აქვს თქვენს ტრავმასთან?

— სწორედ ის კატლეტი ჩამცხო თავში.



მსოფლიოში ყველაზე „ძვირფასიანი“ ქალია – ჯენიფერ ლოპესი. მისი ზღაპრული ტანი, ნიუ-იორკის ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში, ერთ მილიარდ ევროდაა დაზღვეული.

* * *

ყველაზე ძვირადღირებულ ფილმად მაინც რჩება „ტიტანიკი“, რომლის გადაღება 200 მილიონი დოლარი დაჯდა.

* * *

2002 წელს ფირმა „პეპსიმ“ თავის ნაწარმის რეკლამირებისთვის მოიწვია პოპ-მომღერალი ბრიტნი სპირსი. 90-წამიან კინო-რგოლში, ფირმის ხელმძღვანელობამ მას 7,53 მილიონი დოლარი გადაუხადა.

* * *

ყველაზე ძვირადღირებულ ქალაქად მსოფლიოში ითვლება – ტოკიო.

* * *

ყველაზე „ძვირფასიანი“ მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი დაამზადა ცნობილმა იუველირმა სტიუარტ ვაიტმანმა. მის ნახელავზე 642 ლალის თვალია დამაგრებული და 1,6 მილიონი ევრო ღირს.

* * *

დუბაიში მდებარე სასტუმრო „ბირიალ არაბიში“ ყველაზე უბრალო ნომერში ღამის გათენება 770 ევრო ღირს. სამეფო აპარტამენტები კი, 7700 ევრო ჯდება.

* * *

ყველაზე ძვირფასი თოჯინა „ბარბი“ 100 ათასი ევრო ღირს. კაბა, რომელიც მას აცვია, ნამდვილი ბრლიანტებითაა მორთული.

* * *

გერმანელ ფოტო-მოდელს ჰაიდი კლუმს, ნიუ-იორკში მოდების ერთ-ერთ ჩვენებისას, ეცვა ბიუსტჰალტერი, რომელიც 12,5 მილიონ დოლარი ღირს.

* * *

საფრანგეთში, პარიზის მახლობლად მდებარე სტადიონის მშენებლობა, სადაც საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა, 460 მილიონი ევრო დაჯდა.

კვირეული

# აბასთუმნის ბიბლიოთეკაში სოფლებიდანაც მოდიან

**საქართველოში ბიბლიოთეკების კვირეული მიმდინარეობს. იგი 13 მაისამდე გაგრძელდება. კვირეულის დევიზია: „თქვენი ბიბლიოთეკა“.** ამ ტრადიციას 2002 წელს ჩაეყარა საფუძველი და კვირეულის მონაწილეთა რიცხვი იმ დღიდან ყოველწლიურად იზრდება. კვირეული ხელს უწყობს ბიბლიოთეკების განვითარებას, მათი საქმიანობის წარმოჩენას, როლის ზრდას. ერთ-ერთი მათგანია აბასთუმნის საქალაქო ბიბლიოთეკა (დირექტორი – მაგული დემეტრაძე). აბასთუმნიდან ჩამოსულმა, ღირსების ორდენოსანმა, ბიბლიოთეკარმა ზინაიდა ლობჟანიძემ გვაცნობა, რომ კურორტ აბასთუმანში დრომ ბევრი რამ შეცვალა, ბევრი რამ გატიალდა, მაგრამ აბასთუმნის საქალაქო ბიბლიოთეკა კვლავაც პირველადი სახით ცხოვრობს.

ბიბლიოთეკას, რომელსაც 200 კვადრატული მეტრი უჭირავს, დიდებული წიგნთასაცავი აქვს. მის დარბაზში გემოვნებით არის გაფორმებული სტელაჟები, კედლებზე – პერიოდული და მუდმივი გამოფენები, აწყობილია კატალოგი.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 23000. ამ ბოლო დროს ფონდს ახალი წიგნები ძნელად ემატება, თუმცა არიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი პირადი ბიბლიოთეკიდან საქალაქო ბიბლიოთეკის ფონდს ავსებენ ხოლმე. თუ ადრე 2000-ზე მეტი მკითხველი ჰყავდათ, მაგრამ, რაკი დამსვენებლებმაც იკლო, დღეს მკითხველთა რაოდენობაც შემცირდა. ასეა თუ ისე, წიგნის მოყვარული უმრავლესობა მაინც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია.

აქ 7 დასახელების გაზეთი აქვთ გამოწერილი. საქალაქო ბიბლიოთეკა და აბასთუმნის ობსერვატორია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ოპერატიულად იღებენ.

აბასთუმნის საქალაქო ბიბლიოთეკა არა მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს ემსახურება, არამედ სოფლების უდეს, ბელნარის, არალის, ვარხანის მოსახლეობასაც. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტებიც აკითხავენ. ბიბლიოთეკაში გამართულ „წიგნის დღეს“, დედაენისადმი თუ პოეზიისადმი მიძღვნილ საღამოებს, სხვა ღონისძიებებს აბასთუმნის ახლო მდებარე სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც ესწრებიან. ბიბლიოთეკის მუშაკები ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციებისგან მეტ ყურადღებას ითხოვენ. ბიბლიოთეკა ხომ დიდი ხანია სარემონტოა.

ნათელა ფაილოძე.

მხატვრობა

# მალანიამ გაიბრწყინა სენაკში

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სენაკის ფილიალის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიხსნა ჩხოროწყუს რაიონის მკვიდრის, მხატვარ ჯემალ მალანიას ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო მხატვრის 70-ზე მეტი ნამუშევარი.**

აღსანიშნავია, რომ ეს გამოფენა მოეწყო სენაკის რაიონის გამგებლის გურამ მისაბიშვილის და მისი პირველი მოადგილის გიორგი მიქაიას ინიციატივითა და ძალისხმევით.

გამოფენა გახსნა სენაკის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ირმა კუპრეიშვილმა. სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორმა ლერი კართხიამ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

ჯემალ მალანია დაიბადა 1949 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ჰყავს მეუღლე თამარ ქოჩქიანი, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა სამხატვრო სასწავლებელში. ორივემ სასწავლებელი დარჩინებით დაამთავრა და დაქორწინდნენ. მეუღლე ამჟამად მუშაობს კირცხის საშუალო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად და თან მხატვრობასაც არ ივიწყებს. ჰყავთ შვილები ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი.



ჯ. მალანიამ აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის სამხატვრო კომბინატში მხატვარ-შემსრულებლად, პარალელურად მუშაობდა საყოველთაოდ ცნობილი მხატვრისა და მოქანდაკის ზურაბ წერეთლის თბილისის სამხატვრო სახელოსნოში.

მალე ჯემალ მალანია ფერადი მინების ნამცეცებისგან ქმნის ფერწერულ ნახატებს. ამ მასალით უკვე დამზადებული აქვს 80-ზე მეტი ნამუშევარი, რომელთა უმრავლესობა შესრულებულია რელიგიურ თემაზე. იგი ასევე პარალელურად მუშაობს ჭედურობაზე, ამზადებს სხვადასხვა ჭედურ ნაკეთობებს სპილენძის, თითბრისა და ალუმინისგან.

და აი, სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში ჯ. მალანიას მიერ ნიჭიერებითა და დიდი შრომისმოყვარეობით შექმნილმა, ეროვნული სულით გაჯღენთილმა ნამუშევრებმა მრავალრიცხოვან დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურეს. მისი შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანია, ერთიანი სიძლიერით იგრძნობა, როგორც დღევანდელობის, ასევე გარდასულ საუკუნეთა სიღრმისეული თვალთახედვა.

მხატვრის მიერ ნამდვილად შთამბეჭდავად და მიმზიდველად არის შესრულებული ნამუშევრები: „იესო“, „გელათის მთავარანგელოზი“, „მარიამ ღვთისმშობელი ყრმით“, „სეზანის ნატურმორტი“, „ბებერი მეზურნეები“, „შვლის ნუკრი“, „ლოცვა ბეთლიმანიის ბაღში“ და სხვები.

თითოეულ ნამუშევარში ავტორის სულია ჩაქსოვილი.

უამრავი საქებარი სიტყვა ჩაიწერა შთაბეჭდილებათა წიგნში.

ვერნისაჟზე მხატვარმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას გულთბილობისთვის და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.





იოსებ გოგიჩია, „სრ“ საკ. კორ.

**სურათებზე: მხატვარი ჯემალ მალანია; ფერადი მინების ნამცეცებისგან შესრულებული ნამუშევრები – „მარიამ ღვთისმშობელი ყრმით“, „ბებერი მეზურნეები“.**

წარდგენა

# ქეთევან თუხარელი: მეორე წიგნზე ვმუშაობ

**„ეს დიდი წინსვლაა სახვით ხელოვნებაში, ინტელექტუალური ლიტერატურის ქართულ სივრცეში შემოსასვლელად, ვგულისხმობ პირველ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს, სახვითი ხელოვნების დარგში, რომლის ავტორია მეცნიერი მუშაკი ქეთევან თუხარელი. ეს არის ქვეყნის პრიორიტეტი, რათა ინგლისურენოვანი ლიტერატურა გადმოითარგმნოს და ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი მკითხველისთვის“, – ამ სიტყვებით კულტურის მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა ახალი წიგნის კურთხევის ცერემონია დაიწყო, რაც ცისფერ გალერეაში, საგაზაფხულო გამოფენის ფონზე წარიმართა. აქ უამრავ სტუმარს მოეყარა თავი.**




სიტყვა წარმოთქვეს მხატვრებმა: თამაზ ხუციშვილმა, ივანე ვეფხვაძემ, ხელოვნებათმცოდნემ ნინო ზაალიშვილმა, მეცნიერმა ინესა მერაბიშვილმა და სხვებმა. აღინიშნა ისიც, რომ როცა ძალზე საჭირო საქმე კეთდება, გვიკვირს, რატომ აქამდეც არ გაკეთებულა. და ახლა, პირველი ნაბიჯის შემდეგ, ეს საქმე აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, ანუ ქართულ-ინგლისური ლექსიკონის მეორე წიგნი შედგეს და გამოიცეს.

თავყრილობაზე მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი და მათი დამფასებლები, სათანადო პატივს მიაგებდნენ ავტორის – ქეთევან თუხარელის მამის, აწ გარდაცვლილი არჩილ თუხარელის ხსოვნას, რომლის მოღვაწეობაც ერისთვის არაერთ სასიკეთო საქმეს უკავშირდება.

და აი ხელთა გვაქვს „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ პირველი წიგნი, რომელსაც წინ უძღვის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორის თ. საყვარელიძისა და ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მ. ყენიას მოკლე წინასიტყვაობა. მათი შეფასებით, „ქეთევან თუხარელის „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ პირველი ცდაა ამ ტიპის ლექსიკონის შექმნისა და თამამად შეიძლება დიდ მიღწევად ჩაითვალოს ქართულ ლექსიკოგრაფიაში. დღემდე არ გვქონდა სახელოვნებათმცოდნეო ლექსიკონი. არადა, მისი არარსებობა დიდად აბრკოლებდა როგორც ხელოვნებათმცოდნეებს, ასევე ინგლისური ენის იმ სპეციალისტებს, ვისაც უხდება სახვითი ხელოვნების დარგთან შეხება. ცხადია, ეს ლექსიკონი ხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველებსაც დაეხმარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ შექმნას, რაც უთუოდ საშვილიშვილო საქმეა“. წიგნის წარდგენაზე არაერთხელ ითქვა, რომ დიდად საშური საქმე იქნება მეორე ნაშრომის – „სახვისი ხელოვნების ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ გამოცემაც.

ქეთევან თუხარელი, გამოცდილი მეცნიერ-მუშაკი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური ენის სპეციალისტი ლინგვისტიკის საკითხებში, უამრავი სამეცნიერო შრომის ავტორია. ახლახან მან შეადგინა სასწავლო პროგრამები დიდი ბრიტანეთის, ამერიკისა და საქართველოს შესახებ. მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა უდიდესი ტრადიციის მქონე ქართულ ხელოვნებასა და მის შეფასებას თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერ.

ასე რომ, ყველა პირობა არსებობს ქართული ბიბლიოგრაფიის გასამდიდრებლად კიდევ ერთი ღირებული და მნიშვნელოვანი გამოცემით, რომლის ავტორი შესანიშნავი სპეციალისტი, გამოცდილი პედაგოგი ქეთევან თუხარელი იქნება.

ავტორსა და ქართველ მკითხველს ვულოცავთ ახალი წიგნის დაბადებას.

დოდო იორდანიშვილი.



მეუღლე მერაბ მეტრეველი, შვილი თათია, ძმა ვაჟა სვანი, რძალი ციური, ძმისწულები რუსუდანი, თამუნა, შოთიკო, და ნანა, სიძე გია ცანავა, დისწული ავთო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მარინა სვანი.

მამუკა ვაშაკიძე და გივი ჯოლბორდი თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს მერაბ მეტრეველს მეუღლის
მარინა სვანის
გარდაცვალების გამო.

ახლო მეგობრები დავით გურგენიძე, ჯუანშერ მხეიძე, თამაზ სალარიძე, ნოშრევან სიგუა, რევაზ ტყემალაძე, მიხეილ ჩაჩანიძე, იოსებ ხელაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სამაგალითო ადამიანის
გივი მეძველიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება -
ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK